პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 37-ე წელი № 232 (10626) | ხუთშაბათი, 4 ოქტომბერი, 1956 წ. | ფასი 20 კაპ.

# საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სტავროპოლის სამხარეო კომიტეტსა და სამხარეო აღმასკომს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ სტავროპოლის მხარის კოლმეურნეებმა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშებმა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა, რომლებიც გამოვიდნენ მოსავლის აღების წარმატებით მოწყობისა და სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარებისათვის სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორებად, პირნათლად შეასრულეს თავიანთი სიტყვა — ჩვენს ქვეყანაში პირველებმა ვადამდე, 6 აგვისტოს, შეასრულეს პურის დამზადების გეგმა, ხოლო 1 ოქტომბრისათვის სახელმწიფოს სიმინდთან ერთად ჩააბარეს 101 მილიონი ფუთი პური, ბევრად გადააჭარბეს მხარეში პურის ყოველ წინა წელს ჩაბარებას.

სტავროპოლელ კოლმეურნეთა, საბჭოთა მეურნეობების მუშათა და მექანიზატორთა დამსახურება ის არის, რომ მათ ფართო მასშტაბით გამოიყენეს მოსავლის ცალცალკე აღების წესი მიმდინარე წლის ამინდის რთულ პირობებში და გადაარჩინეს მილიონობით ფუთი პური და საქმით დაამტკიცეს, თუ ჩვენი ქვეყნის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მარცვლეულის საერთო მოსავლის გადიდების რა უდიდეს რეზერვს წარმოადგენს მოსავლის აღების ეს პროგრესული წესი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ულოცავენ სტავროპოლის მხარის კოლმეურნეებს, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, პარტიულ და საბჭოთა მუშაკებს და სტავროპოლის მხარის ყველა მშრომელს მარცვლეულის წარმოების გადიდებაში მიღწეულ წარმატებებს და გამოთქვამენ რწმენას, რომ ისინი მარცვლეულის მეურნეობის გადიდებასთან ერთად განახორციელებენ ღონისძიებებს ნაზმატყლიანი მეცხვარეობის — მხარის სოფლის მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგის შემდგომი განვითარებისათვის, იზრუნებენ პირუტყვის გამოზამთრების კარგად მომზადებისა და წარმატებით მოწყობისათვის, განსაკუთრებით სამომთაბარო საძოვრებზე, კვლავაც ბეჯითად იმუშავებენ, რათა გაადიდონ მეფრინველეობის საქონლიანობა და მოკლე ვადაში მიაღწევენ მაღალხარისხოვანი წმინდა მატყლის, ხორცის, რძის, კვერცხის წარმოების მკვეთრ გადიდებას.

პარტიულმა ორგანიზაციებმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა განსაკუთრებული ზრუნვა უნდა გამოიჩინონ იმისათვის, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდის საფუძველზე აამაღლონ კოლმეურნეთა ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონე, გაადიდონ საკოლმეურნეო შრომადღის ღირებულება, აშენონ კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებანი სოფლად, გააუმჯობესონ სოფლის მეურნეობის პროდუქტებით ვაჭრობა და ამ პროდუქტებით მოსახლეობის მომარაგება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი | სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

# ორი მოძმე რესპუბლიკის სოციალისტური შეჯიბრება

აზერბაიჯანისა და საქართველოს მშრომელები ერთმანეთთან დაკავშირებული არიან ურღვევი მეგობრობით. საბჭოთა კავშირის ერთიან ძმურ ოჯახში ისინი ხელიხელჩაკიდებულნი, დიდი რუსი ხალხის უანგარო დახმარებით იბრძვიან კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მიერ დასახული დიადი ამოცანების განსახორციელებლად.

საქართველოს სს რესპუბლიკამ მეექვსე ხუთწლედის პირველი წლის — 1956 წლის გეგმების ვადამდე შესრულებისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია მოძმე აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის მშრომელები. აზერბაიჯანელებმა ერთსულოვნად მიიღეს საქართველოს სს რესპუბლიკის მუშათა, მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა გამოწვევა და ორივე რესპუბლიკამ ერთმანეთთან გააფორმა სოციალისტური შეჯიბრების პირობები 1956 წელს სამრეწველო პროდუქციის გამოშვებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის.

შეჯიბრების ძალა დიდი ძალაა. გენიალურმა ლენინმა შეჯიბრებაში აღმოაჩინა საბჭოთა საზოგადოების დიდი მამოძრავებელი ძალა. „სოციალიზმი, — მიგვითითებდა ვ. ი. ლენინი, — არათუ არ აქრობს შეჯიბრებას, არამედ, პირიქით, პირველად ქმნის მისი გამოყენების შესაძლებლობას ნამდვილად ფართოდ, ნამდვილად მასობრივად, შესაძლებლობას ნამდვილად გამოყვანილ იქნას მშრომელთა უმრავლესობა ისეთი მუშაობის ასპარეზზე, სადაც მათ შეუძლიათ გამოიჩინონ თავი, გაშალონ თავიანთი უნარი, გამოაამჟღავნონ ნიჭი...“

მოძმე აზერბაიჯანთან შეჯიბრებაში საქართველოს სსრ სამრეწველო საწარმოებმა, კოლმეურნეობებმა, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების კოლექტივებმა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა სერიოზული ვალდებულებები იკისრეს. მრეწველობის მუშაკები იბრძვიან იმისათვის, რომ წლიური გეგმის გადამეტებით გამოუშვან 5 ათასი ტონა კოქსი, 13 ათასი ტონა თუჯი, 14 ათასი ტონა ფოლადი, 7 ათასი ტონა მზა ნაგლინი, 4 ათასი ტონა მილები; გაადიდონ ქვანახშირის საშუალო სადღეღამისო ამოღება 1955 წელთან შედარებით 11,2 პროცენტით და წლიური გეგმის გადამეტებით მთლიანად საქართველოს ქვანახშირის კომბინატმა მისცეს სახელმწიფოს 15 ათასი ტონა ქვანახშირი; საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს საწარმოთა კოლექტივებმა საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა შეასრულონ 15 დეკემბრისათვის და წლიური დავალების გადამეტებით გამოუშვან საშენი მასალები; რკინიგზის ტრანსპორტის ხაზით დატვირთვის სახელმწიფო გეგმა ვადამდე შეასრულონ და წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით დატვირთონ 40 ათასი ვაგონი სახალხო-სამეურნეო ტვირთები, გადმოტვირთვის წლიური გეგმა გაანაღდონ 102 პროცენტით. მრეწველობის მუშაკებმა ახალი ვალდებულებები იკისრეს აგრეთვე ფერადი მეტალურგიის, ნავთობის, ქიმიური, მანქანათმშენებლობის, სატყეო, ქაღალდისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის დარგებში.

სოფლის მეურნეობის მუშაკები იბრძვიან იმისათვის, რომ კოლმეურნეობებში მარცვლეული კულტურების მთელი ნათესი ფართობის საშუალოდ ერთ ჰექტარზე მიიღონ სულ ცოტა 13 ცენტნერი მარცვლეული. მარცვლეულის საერთო მოსავალი აიყვანონ 809 ათას ტონამდე. სახელმწიფოს ჩააბარონ 17.000 ტონა ნედლი თამბაქო დაგეგმილი ასორტიმენტის დაცვით, 118 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, 15 ათასი ტონა უხეში ჩაის ფოთოლი აგურა ჩაის დასამზადებლად, გააშენონ 3.440 ჰექტარი ვენახები, 3.250 ჰექტარი ხეხილის ბაღები კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში; საშუალოდ ერთ ძროხაზე მიიღონ 850 კილოგრამი რძე, ერთ ცხვარზე — 2,7 კილოგრამი მატყლი.

საქართველოს სამრეწველო წარმოების ნახევარი წლის გეგმა 104 პროცენტით შესრულდა. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია ათეულ მილიონობით მანეთის პროდუქცია. გაწეულია არც თუ ცოტა მუშაობა მეჩაიეობის, მევენახეობის, მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისათვის. მრავალი წლის მანძილზე პირველად გადაჭარბებით შესრულდა წველადობის გეგმები. სასილოსე და მწვანე საკვებად სიმინდის ნათესები სამჯერ გადიდდა. მნიშვნელოვნად ამაღლდა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაციის დონე.

მაგრამ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დარგში ჯერ კიდევ არსებობს სერიოზული ნაკლოვანებანი. ზოგიერთ ფაბრიკა-ქარხანაში ყველაფერი არ კეთდება საწარმოო სიმძლავრეთა მთლიანად გამოყენებისათვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

არის ფაქტები, როცა ირღვევა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა აგროტექნიკური ვადები, რითაც საფრთხის წინაშეა დაყენებული მოსავლიანობის გადიდების საკითხი.

აზერბაიჯანისა და საქართველოს მშრომელთა სოციალისტურ შეჯიბრებას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ახლა, როცა კომუნისტური პარტია გადამწყვეტ ბრძოლას აწარმოებს სტალინის პიროვნების კულტის ანტიმარქსისტული არსისა და მისი მავნე შედეგების დასაძლევად.

მოძმე რესპუბლიკათა შორის ძმური მეგობრობის კიდევ უფრო განმტკიცებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ახლა, როცა პარტია შეუპოვარ ბრძოლას აწარმოებს ბერიევშჩინის მავნე შედეგების აღმოსაფხვრელად. ხალხის დაუძინებელი მტრის, იმპერიალიზმის აგენტის ბერიას დანაშაულებრივმა ანტიპარტიულმა და ანტისახელმწიფოებრივმა მოქმედებამ დიდი ზიანი მიაყენა საბჭოთა ხალხს. ხალხის საზიზღარი მტერი ბერია ხანგრძლივი დროის განმავლობაში, ახორციელებდა რა საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელობას, არსებითად ატარებდა ანტისაკოლმეურნეო პოლიტიკას, აქეზებდა კერძომესაკუთრულ ტენდენციებს საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარების საზიანოდ.

ბერიევშჩინის მავნე შედეგების სრული ლიკვიდაციისათვის აუცილებელია თვალისჩინივით გავუფრთხილდეთ და შემდგომ განვამტკიცოთ ხალხთა დიადი მეგობრობა, აღვზარდოთ მშრომელები ინტერნაციონალიზმისა და ხალხთა მეგობრობის სულისკვეთებით, ყველა დავალება მრეწველობაში, სოფლის მეურნეობასა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში შევასრულოთ თავის დროზე, მაღალხარისხოვნად.

ორი მოძმე რესპუბლიკის მუშათა, კოლმეურნეთა, მექანიზატორთა გამოცდილების საფუძვლიანად შესწავლა და ერთმანეთისათვის გაცნობა, ყოველივე ახლის, პროგრესულის გავრცელება წარმოებაში, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავე მუშაკთა დელეგაციების ურთიერთ გაცვლა ხელს შეუწყობს ის დავალებათა სანიმუშოდ შესრულებას, რაც მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის წინაშეა დასახული.

პარტია გვასწავლის, რომ საჭიროა გავაძლიეროთ ადამიანებში თავიანთი ვალდებულებებისათვის პასუხისმგებლობის გრძნობა. პირობა დადე — შეასრულე იგი რაც უნდა მოხდეს. ეს მტკიცედ უნდა ახსოვდეს თვითეულ პარტიულ და საბჭოთა მუშაკს, თვითეულ კომუნისტს.

ახლა მთავარია ის, რომ მთელი ძალით გავაჩაღოთ ბრძოლა მოძმე აზერბაიჯანელ მშრომელებთან ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად. ეს სერიოზულ პასუხისმგებლობას აკისრებს პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს. ფაბრიკებში, ქარხნებში, კოლმეურნეობებში, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში მუშაობის სიმძიმის ცენტრი უნდა გადავიტანოთ ორგანიზატორულ საქმიანობაზე, პრაქტიკული მუშაობით უზრუნველვყოთ დასახული გეგმებისა და ვალდებულებების განხორციელება.

დაე ცოცხლობდეს და განმტკიცდეს სსრ კავშირის ხალხთა ლენინური მეგობრობა, ამ ერთიან ძმურ ოჯახში აზერბაიჯანელი და ქართველი ხალხების ურღვევი მეგობრობა.

## ჩოხატაურის რაიონმა შეასრულა ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა

ჩოხატაურის რაიონის კოლმეურნეობებმა რაიონის მუშა-მოსამსახურეებისა და მოსწავლეების ენერგიული დახმარების შედეგად 28 სექტემბერს 100,1 პროცენტით შეასრულეს ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის წლიური გეგმა.

ჩაის ფოთლის კრეფა და სახელმწიფოსათვის ჩაბარება გრძელდება.

(საქინფორმი).

## რუსთავის მეცემენტეთა წარმატება

რუსთავი. (საკ. კორ.). ინდუსტრიული ქალაქის ყველაზე ახალგაზრდა საწარმოს — ცემენტის ქარხნის კოლექტივმა სექტემბრის საწარმოო გეგმა გადაჭარბებით შეასრულა და სამშობლოს 300 ტონა ზეგეგმითი ცემენტი მისცა. განსაკუთრებით დაწინაურდნენ დაფქვის, გამოწვისა და წიდის დასამუშავებელი საამქროები, რომლებსაც ლ. სოსელია, გ. ქარუმიძე და ლ. ეგიანი ხელმძღვანელობენ.

გეგმის შესრულება ძირითადად ქარხნის რაციონალიზატორთა ნაყოფიერმა მუშაობამ განაპირობა. თაბაშირის უქონლობა საწარმოს გეგმის შეუსრულებლობის საფრთხეს უქმნიდა. ქარხნის მთავარი ინჟინრის პ. სავინსკის წინადადებით თაბაშირი ადგილობრივი გაჯით შეცვალეს და ამ გზით უკეთესი ხარისხის ცემენტი მიიღეს. გამოწვის საამქროში მბრუნავი აგრეგატის ვენტილატორი ხშირად ზიანდებოდა და ღუმელებისათვის ნახშირის მიწოდება წყდებოდა. ზეინკალმა დ. ლელაშვილმა ვენტილატორის კონსტრუქცია შეცვალა, რის შედეგად შეფერხებები მთლიანად ლიკვიდირებულია.

დაფქვის საამქროში მანქანა-დანადგარებზე ელექტროფილტრების ხშირი დაზიანება ძლიერ აფერხებდა ელექტროენერგიის მიწოდებას. ელექტრომონტიორებმა შ. თოდრიამ და ვ. ზაიცევმა ელექტროფილტრის კონსტრუქცია შეცვალეს. ახლა ფილტრის ერთი მხარის დაზიანების შემთხვევაში დენის ჩართვა მეორე ნაწილიდან წარმოებს, რაც უზრუნველყოფს შეუფერხებელ მუშაობას.

## რთვლის პირველ დღეებში

რთველი მასობრივად გაჩაღდა. გურჯაანის რაიონის კოლმეურნეებსა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებს დიდი საზრუნავი გაუჩნდათ. ისინი მთელ შესაძლებლობას იყენებენ იმისათვის, რომ რთველი 10-15 დღეში დაამთავრონ.

ბაკურციხის კოლმეურნეობის ვენახებში მარტო ყურძნის კრეფაზე ყოველდღიურად 250-300 კოლმეურნე მუშაობს. მათ ყურძნის უხვი მოსავალი ახარებთ. საშუალოდ ჰექტარზე 115 ცენტნერი ყურძენი — აი მათი ბეჯითი შრომის ნაყოფი. ბრიგადებს შორის პირველობა ზ. სამადაშვილის ბრიგადას ეკუთვნის. იგი თვითეულ ჰექტარზე 130 ცენტნერ ყურძენს იღებს. ბრიგადა, რომელსაც მ. ბაწაშვილი ხელმძღვანელობს, გეგმის გადამეტებით თვითეულ ჰექტარზე 60 ცენტნერ ყურძენს კრეფს.

მევენახეობის რგოლებს შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში ი. ბაწაშვილის რგოლმა გაიმარჯვა; საშუალოდ ჰექტარზე 145 ცენტნერი ყურძენი მოიყვანა ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 50 ცენტნერისა. კოლმეურნეები ნაკისრ ვალდებულებას გადამეტებით ასრულებენ. მ. ბაწაშვილი, თ. კიკონიშვილი, ა. წურთიაშვილი, ც. ჯადუგიშვილი დღეში 500-600 კილოგრამ ყურძენს კრეფენ ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 300 კილოგრამისა.

ამ დღეებში დიდი ჯაფა ადგათ ავტომანქანების მძღოლებსაც. მოკრეფილი ყურძენი ერთი ღამეც რომ დარჩეს ვენახში, დაზიანდება, ღვინო უხარისხო დადგება. ამიტომ არის, რომ მძღოლები დ. აბრამიშვილი, ი. ბაწაშვილი, დ. ჯადუგიშვილი, თ. ბექაშვილი და ე. ქურთიაშვილი ყურძნის გაზიდვის დავალებას ორმაგად ასრულებენ.

კოლმეურნეობამ სახელმწიფოს 1.800 ცენტნერი ყურძენი უნდა ჩააბაროს. ბაკურციხელებმა პირველ სამ დღეს ათასი ცენტნერი ყურძენი ჩააბარეს. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. შ. ნიბლაძემ განაცხადა: სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით 1.200 ცენტნერ ყურძენს ჩავაბარებთო.

რთველი გაჩაღდა კარდანახის, ვეჯინის, კოლაგის, ჭანდრისა და სხვა კოლმეურნეობებშიც. ყურძნის მოსავალი ყველგან უხვია.

ღვინის ქარხნებს შორის მუშაობა პირველმა დაიწყო კარდანახის ღვინის ქარხანამ (დირექტორი ბ. სირაძე, მთავარი მეღვინე გ. ქუმსიაშვილი). გადამუშავებულია პირველი 8.000 ცენტნერი ყურძენი. გეგმით ქარხანამ 4.660 ტონა ყურძენი უნდა მიიღოს და დაწუროს. ფაქტიურად საქმე ისეა მოწყობილი, რომ 5.500 ტონას გადაამუშავებენ.

ღვინის ქარხნებში კოლმეურნეობებთან ერთად ყურძენს ეზიდებიან კოლმეურნეებიც. გურჯაანის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა შ. ყალაბეგაშვილმა სახელმწიფოს ჩააბარა 3.517 კილოგრამი ყურძენი და მიიღო 17.335 მანეთი. კარდანახის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა ნ. ხელაშვილმა ჩააბარა 1.275 კილოგრამი ყურძენი. მას ერგო 6.012 მანეთი.

დადგენილია, რომ ყურძნის ინდივიდუალური ჩამბარებლები საზღაურს ჩაბარებისთანავე უნდა იღებდნენ, მაგრამ ეს წესი ხშირად არ სრულდება. კარდანახელმა კოლმეურნემ ლ. ლეკბერაშვილმა 24 სექტემბერს 405 კილოგრამი ყურძენი ჩააბარა კარდანახის ღვინის ქარხანას, ყურძნის საფასური კი 28 სექტემბერსაც არ ჰქონდა მიღებული. ამ დღეს დილიდან საღამომდე ფულის მოსაღებად 30-ზე მეტი კოლმეურნე იცდიდა. ეს აფერხებს სახელმწიფოსათვის ყურძნის ჩაბარებას, იწვევს კოლმეურნეთა მოცდენას. ეს ნაკლი დაუყოვნებლივ უნდა გამოსწორდეს.

რთვლის პირველ დღეებში რაიონში სხვა ნაკლოვანებებიც გამომჟღავნდა. მოკრეფილ ყურძენს ვედროებში ყრიან, კალათები თითქმის არსად არა აქვთ. ეს მიუღებელია, ღვინის ხარისხი გაუარესდება. ისიც არ არის კარგი, რომ ვენახებიდან ყურძენს ღვინის ქარხნებსა და კოლმეურნეობათა მარნებში ასი და მეტი კილოგრამის ტევადობის გოდრებით ეზიდებიან, ხის ტარები არა აქვთ. ეს ყურძნის დაჭყლეტას იწვევს, ტკბილი ღვრება.

კოლმეურნეობები განიცდიან ავტომანქანების ნაკლებობას. ამის გამო ზოგჯერ ყურძნის გადაზიდვა ფერხდება.

ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა რთვლის პირველ დღეებში გამომჟღავნებული ნაკლოვანებანი სასწრაფოდ უნდა გამოასწორონ.

ს. ქოჩლაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.



რთველი გურჯაანის რაიონის სოფელ ჭანდრის კოლმეურნეობაში.
ფოტო მ. თელიაშვილისა.

# შრომის ვეტერანთა საზეიმო გაცილება

1956 წლის 3 ოქტომბერი დაუვიწყარი იქნება თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის მოწინავე ადამიანების ნ. რუდომიოტკინის, გ. ხაჩატურიანის, გ. ამერგულოვის, ე. მაჩაბლის, მ. მენაბდიშვილისა და ბევრი სხვისათვის, რომლებმაც ათეული წლების განმავლობაში უმწიკვლო და გმირული შრომით ამხანაგებისა და მეგობრების, ქარხნის მთელი კოლექტივის პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურეს, ხოლო ამჟამად პენსიაში გავიდნენ. ამ დღეს ქარხნის კლუბში მოეწყო მათი — წარმოების მუშაკთა ვეტერანების საზეიმო გაცილება.

ქარხანაში ცოტა როდია ისეთი ადამიანები, რომელთა სახელებთან დაკავშირებულია ქარხნის შრომითი ისტორია. მაგალითად, მჭედელი სტანისლავ დომბროვსკი ქარხანაში 1917 წელს მოვიდა.

— იყო დრო, როდესაც ნამგლებსაც კი ვამზადებდით, — გვაცხადა მან, — დღეს კი რთულ მანქანებს ვამზადებთ ჩვენი მრეწველობისათვის, აი როგორ წავედით წინ, აი რა გზა განვლო ქარხანამ.

გმირული შრომის ადამიანებს, რომლებმაც დამსახურებულად მოიპოვეს დასვენების უფლება, მიესალმა ქარხნის დირექტორი ლ. აივაზოვი.

— ეს დღე უჩვეულოა ჩვენი ქარხნის ისტორიაში. ჩვენ ვაცილებთ მამებსა და მასწავლებლებს, რომლებიც ათეული წლების განმავლობაში იდგნენ შრომის ვახტზე და ეწეოდნენ ნაყოფიერ მუშაობას... მადლობა მათ, ამ თავშეუვერცხლილ ადამიანებს, თავდადებული შრომისათვის.

ტრიბუნაზე ადიან ხარატი ნიკოლოზ რუდომიოტკინი, მჭედელი გარეგინ ამერგულოვი, ზეინკალი ელიზბარ მაჩაბელი და სხვები, რომლებიც მადლობას უძღვნიან მშობლიურ კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას დიდი ზრუნვისათვის. ისინი ერთხმად აცხადებენ, რომ არასოდეს არ გაწყვეტენ კავშირს ქარხანასთან, ყოველთვის სიამოვნებით გაუზიარებენ გამოცდილებას ახალგაზრდობას.

საღამოზე წარმოების ვეტერანებს გულთბილი სიტყვებით მიმართეს პარტიის მოლოტოვის რაიკომის მდივანმა ი. შევარდნაძემ, კომკავშირელმა მ. ბელენკომ და სხვებმა.

პენსიაში გასულთ გადაეცათ ფასიანი საჩუქრები და საპატიო სიგელები.

## დიდი სიხარული

(ელიზბარ მაჩაბლის გამოსვლიდან)



39 წელი გავატარე ამ ქარხანაში — 22 წლის ჭაბუკი მოვედი და 61 წლისა ვტოვებ მას. ეს ქარხანა იყო ჩემი დიდი სკოლა. აქ მასწავლიდნენ და აქ ვასწავლიდი სხვებს.

ამ საზეიმო ქრებულს რომ ვხედავ, მაგონდება დაუვიწყარი დღე ჩემს ცხოვრებაში. ოცდათხუთმეტიოდე წლის წინათაც ამ ტერიტორიაზე, მაშინ აქ საზეინკლო საამქრო იყო, საზეიმო განწყობილება სუფევდა: ქარხნის მუშები გარშემოხვეოდნენ იმ ადამიანს, რომლის სახელსაც ჩვენი ქარხანა ატარებს. სერგო ორჯონიკიძე გვესაუბრებოდა ბედნიერ მომავალზე.

და ეს ბედნიერი მომავალი ჩვენი შრომით, ბრძოლით და სახელოვანი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მოვიპოვეთ. ახალმა კანონმა პენსიების შესახებ შესაძლებლობა მომცა დავისვენო, ბედნიერად გავატარო მოხუცებულობის წლები.

მივდივარ, მაგრამ ვტოვებ ჩემს შვილს ირაკლის, რომელიც იმავე საამქროშია, სადაც მე ვმუშაობდი. ირაკლის ტოლნი აქ ბევრნი არიან და მათი ვალია მამებს აჯობონ, თავიანთი წვლილი შეიტანონ დიადი სოციალისტური სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცების საქმეში.



ქარხნის დირექტორი ლ. აივაზოვი (მარცხნივ) სიგელსა და ფასიან საჩუქარს გადასცემს მ. მენაბდიშვილს.

## ჩემი მადლობა

(ნიკოლოზ რუდომიოტკინის გამოსვლიდან)



1912 წელს, როდესაც ამ ქარხანაში მოვედი, ძნელი იყო იმის წარმოდგენა, რომ ასეთ საზეიმო ვითარებაში მომიხდებოდა მისი დატოვება. ამისათვის მადლობას მოგახსენებთ თქვენ, ჩემო მეგობრებო, ძმებო და ამხანაგებო, მადლობა ჩვენს მშობლიურ კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა მთავრობას, რომლებიც დაუცხრომლად ზრუნავენ მშრომელთა კეთილდღეობის განუწყვეტელი გაუმჯობესებისათვის.

დღეს, როდესაც თვალს ვავლებ ჩვენი ქარხნის ხედს, სიამაყის გრძნობა მიპყრობს. ამ ქარხნის წინსვლასა და გამარჯვებებში მეც მაქვს მცირე წვლილი შეტანილი, ამიტომაც არის იგი ჩემთვის ესოდენ მშობლიური და საყვარელი.

ქარხნის საყვირის ხმა ჩემში ყოველთვის სასიამოვნო მოგონებას გამოიწვევს. ეს მოგონებები დაკავშირებული იქნება თქვენთან, ამ ქარხანაში გატარებულ თვეებთან და წლებთან. დაძაბულ, მაგრამ სასიამოვნო შრომის დღეებთან.

იმედი მაქვს, რომ ახალგაზრდობა კიდევ უფრო სასახელო ფურცლებს ჩაწერს ჩვენი ქარხნის ისტორიაში.

### პარტიული ცხოვრება

# საამქროს პარტიული ორგანიზაცია

მიმდინარე სამეურნეო წელი ახალდაწყებული იყო. თბილისის ფეხსაცმლის პირველი ფაბრიკის შემკრავი საამქროს კომუნისტებს დარბაზში მოეყარათ თავი და პარტიული კრების დაწყების წინ გაცხარებული საუბარი ჰქონდათ.

— მუშახელი გვაკლია, — ამბობდა კომუნისტი ა. სკორევა.

— მასალებს დაგვიანებით ვიღებთ, თორემ ასე არ ჩამოვრჩებოდით, — დასძინა კომუნისტი ნ. ოსაძე.

— ეს მართალია, მასალებს ზოგჯერ დაგვიანებით ვიღებთ, მუშახელი გვაკლია, მაგრამ კომუნისტ ტ. მოვსესიანის რაციონალიზატორული წინადადება რომ განგვეხორციელებინა და სამი მუშა ერთით შეგვეცვალა, უთუოდ გვეყოფოდა მუშახელი. მაშ რატომ დროულად არ ვიზრუნეთ ამისათვის? ჩვენ თვითონვე ვართ ჩამორჩენის მიზეზი, თქვენ კი ამბობთ მუშახელი გვაკლიაო, — ლაპარაკობდა კომუნისტი ლ. შერეშოვი.

კამათმა, რომელმაც საწარმოო გეგმების შესრულებისათვის ბრძოლაში კომუნისტების ავანგარდული როლის ამაღლების საკითხი განიხილა, კრებაზე უფრო გაცხოველებული ხასიათი მიიღო. ნათელი გახდა, რომ საამქროს პარტიული ორგანიზაცია (მდივანი გ. გრიგორიანი) ჯეროვნად ვერ მუშაობდა. ირღვეოდა რიტმული მუშაობის გრაფიკი. ადგილი ჰქონდა იერიშობანას. გამოშვებული პროდუქცია ზოგჯერ დაბალხარისხოვანი იყო. ყურადღება არ ექცეოდა შრომის ორგანიზაციის ძირეულ გაუმჯობესებასა და სამუშაო დროის დანაკარგების ლიკვიდაციას, არ იგრძნობოდა კომუნისტების ავანგარდული როლი.

კომუნისტებმა მოურიდებლად გამოაამჟღავნეს ნაკლოვანებანი და წამოაყენეს კონკრეტული წინადადებანი მათი აღმოფხვრისათვის.

მიღებული დადგენილების საფუძველზე პარტიულმა ორგანიზაციამ უწინარეს ყოვლისა ყურადღება მიაქცია შრომის სწორი ორგანიზაციის საკითხებს და მუშათა კვალიფიკაციის ამაღლების საქმეს. საამქროში შეიქმნა მოწინავე გამოცდილების სკოლა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა კომუნისტი ა. ფეიქრიშვილი. დაიწყო მოსკოვის ფეხსაცმლის ფაბრიკა „პარიჟსკაია კომუნას“ ტყავის გადამჭიმავის ამხ. პლატოვის გამოცდილების შესწავლა და პრაქტიკაში დანერგვა. ყველა მანქანასთან გამოჩნდა ტექსტი ამხ. პლატოვის შრომის ნოვატორული მეთოდების შესახებ.

მოწინავე კომუნისტებმა ლ. ბუსაჯანიშვილმა, გ. არსოშვილმა, ტ. მოვსესიანმა, მ. კოშელოვამ საინტერესო საუბრები გამართეს სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებულ ცალკეულ საკითხებზე: „მოწინავე ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვა ჩვენს საამქროში“, „ვიბრძოლოთ სამუშაო დროის დანაკარგების ლიკვიდაციისათვის“, „სრულყოფილად დაეუფლე დაზგას, რომელსაც ემსახურები“, „ფართოდ დავნერგოთ ამხ. პლატოვის შრომის ნოვატორული მეთოდი“ და სხვ. თვითეული საუბარი აგებული იყო საამქროს ცხოვრებიდან აღებულ კონკრეტულ მაგალითებზე, და ამიტომ ამ საუბრებმა მიზანსაც მიაღწია.

კომუნისტები პირადი შრომით მეტი და მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებისათვის ბრძოლის მაგალითს უჩვენებენ. თუ წინათ კომუნისტი ზ. ვართანოვი მხოლოდ მისთვის მიცემული დავალების წარმატებით შესრულებით კმაყოფილდებოდა, ახლა იგი იმისათვისაც ზრუნავს, რომ ყველა მუშა გადაჭარბებით ასრულებდეს ყოველდღიურ ნორმას. ამავე დროს კი საკუთარ ნორმას სამჯერ და უფრო მეტად ასრულებს.

საამქროში მოქმედი მოწინავე გამოცდილების სკოლა უკვე დაამთავრა 200-მდე მუშამ და მათი სწავლა გამოშვებული პროდუქციის ხარისხსაც დაეტყო. თუ წინათ საამქროს მიერ გამოშვებული ფეხსაცმლის ხარისხი უკან სწევდა ფაბრიკის მაჩვენებლებს, საერთო წარმატებას, უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში 10 პროცენტით გაიზარდა პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვება.

პარტიულმა ორგანიზაციამ მნიშვნელოვანი მუშაობა გაშალა იმისათვის, რომ მოწინავენი იყვნენ არა მარტო ცალკეული მუშები, არამედ მთელი ბრიგადა, ნაკადი, უბანი და მთლიანად საამქრო. ფართოდ გაშლილმა სოციალისტურმა შეჯიბრებამ, რომლის ინიციატორებიც კომუნისტები არიან, ხელი შეუწყო ამ ამოცანის გადაწყვეტას. პარტბიურო სისტემატურად ამოწმებს ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას, ხელს უწყობს და ეხმარება მეფეხსაცმელეებს შემოქმედებითი ინიციატივის გაშლაში, ყოველივე ახლისა და პროგრესულის დანერგვაში.

საამქროში დაინერგა რაციონალიზატორ კომუნისტ ტ. მოვსესიანის წინადადება. წინათ ფეხსაცმლის ქვალზე პერფორაციული რანტის მიმაგრება ხელით წარმოებდა და ამ პროცესის შესრულებას სამი მუშა სჭირდებოდა. ტ. მოვსესიანის მიერ დადგმული მანქანა კი საშუალებას იძლევა ახლა ეს სამუშაო ერთმა მუშამ შეასრულოს და ხარისხიც დაიცვას. ამ წინადადების განხორციელებით საამქრო წელიწადში 11.800 მანეთის ეკონომიას გააკეთებს.

წარმოებაში დაინერგა აგრეთვე კომუნისტ ა. ფეიქრიშვილის მიერ გამოგონებული კანტის სატკეპნი მანქანა, რომელმაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი პროდუქციის ხარისხის ამაღლებას.

საამქროს პარტიული ორგანიზაციის მიზანსწრაფული და უნარიანი მუშაობით გადიდდა მეფეხსაცმელეთა შრომის ნაყოფიერება, მნიშვნელოვნად შემცირდა გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება. მარტო ივლის-აგვისტოში საამქრომ დამხმარე მასალების 4.000 მანეთის ეკონომია გასწია, გეგმის გადამეტებით გამოუშვა 25.000 წყვილი ფეხსაცმელი.

სისტემატურად იზრდება მოწინავე მეფეხსაცმელეთა რიგები. კომუნისტები ს. ზურაბოვი, მ. კოშელოვა, ნ. ოსაძე, ა. სკორევა და სხვები ყოველდღიურ ნორმებს 180-200 პროცენტით ასრულებენ, თავიანთ გამოცდილებას ხალისით უზიარებენ ამხანაგებს.

პარტიული ორგანიზაციის ეს გამოცდილება ნათლად მოწმობს, რომ პარტიულ-პოლიტიკური საქმიანობის მაღალი დონე, ადამიანებთან ცოცხალი ორგანიზატორული მუშაობა სამეურნეო წარმატებების საფუძველია. ახლა პარტბიურო ყველა ზომას იღებს მოპოვებულ წარმატებათა განმტკიცებისათვის, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით ადამიანების აღზრდისათვის, უფრო მაღალი საწარმოო მაჩვენებლების მოპოვებისათვის, მეექვსე ხუთწლიანი გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის.

**გ. შეწირული.**

## წრის მეცადინეობა ჩაიშალა

2 ოქტომბერს საღამოს 7 საათზე ბათუმის რაიონის სოფელ ფერიის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობის კანტორაში თავი მოყარეს პირველადს პარტიულ ორგანიზაციასთან ჩამოყალიბებული სოფლის მეურნეობის ეკონომიკის შემსწავლელი წრის მსმენელებმა. აქ იყვნენ ბრიგადირები, მერგოლურები, მოწინავე კოლმეურნეები. ბევრი მათგანი დანიშნულ დროზე ადრეც კი მოვიდა.

დრო გადიოდა, ხოლო პროპაგანდისტი, კოლმეურნეობის თავმჯდომარე ა. ფაღავა არსად ჩანდა. ამის გამო ძალიან ღელავდა პარტორგანიზაციის მდივანი ა. ჯალაღანია. მან ერთ საათზე მეტ ხანს გააჩერა მსმენელები.

—რატომ არ მოდის პროპაგანდისტი, ხომ იცოდა, რომ დღეს მეცადინეობა გვაქვს? — კითხულობდნენ წრის წევრები. როგორც გამოირკვა, პროპაგანდისტი ა. ფაღავა პარტიის ბათუმის რაიკომმა საღამოს 6 საათზე უეცრად გამოიძახა თათბირზე, სადაც რამდენიმე საათი დაჰყო და კოლმეურნეობაში გვიანობამდე ვერ დაბრუნდა. აი რამ გამოიწვია მეცადინეობის ჩაშლა.

მსმენელები უკვე შინისაკენ მიდიოდნენ, როცა მათ პარტბიუროს მდივანმა მიაძახა: —შემდეგი მეცადინეობა 5 ოქტომბერს შედგებაო.

ასე არაორგანიზებულად დაიწყო ახალი სასწავლო წელი სოფელ ფერიის კოლმეურნეობის პარტიულ ორგანიზაციაში. ეს ფაქტი პარტიის ბათუმის რაიკომის მსჯელობის საგანი უნდა გახდეს.

**დ. პაიჭაძე,**
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

### ბეჯითი შრომის ნაყოფი



ბარაქიანი შემოდგომაა დაბა ბოლნისის (ბოლნისის რაიონი) სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში. წელს აქ სიმინდი 439 ჰექტარზე დათესეს და ნათესს ხაგულდაგულოდ მოუარეს. თვითეულ ჰექტარზე შეიტანეს 46-50 ტონა ნაკელი. სათესლედ გამოიყენეს აბაშის ყვითელი ჯიშის სიმინდი, ჰექტარზე დათესეს დაახლოებით 30-35 კილოგრამი სიმინდი.

თესვას აწარმოებდნენ ისეთ დღეებში, როცა ტემპერატურა მიწის ზედაპირზე 15 გრადუსი იყო. ძირითადად თესვა აპრილის პირველ ნახევარში დაამთავრეს, სიმინდი პირველად გათოხნეს მაშინ, როდესაც მცენარემ 2-3 ფოთოლი გაიკეთა. პირველი თოხნიდან 15 დღის შემდეგ მოაწყეს სიმინდის მეორე თოხნა, ივნისის დამლევამდე კი — მესამე თოხნა.

განსაკუთრებით ივლისში, როცა მცენარემ მასობრივად დაიწყო ყვავილობა, დამატებით გამოკვებეს წუნწუხით 3-ჯერ. ყვავილობის პერიოდში, როცა ტაროზე ფუჩეჩთან იწყება „ულვაშის“ გამოჩენა, მიმართეს ხელოვნურ დამტვერვას. ყოველივე ამის შედეგად მოსავალიც კარგი მოვიდა. 239 ჰექტარი ხარწყავი ფართობის თვითეულ ჰექტარზე ელიან 500 ფუთამდე სიმინდს, ხოლო ურწყავი 200 ჰექტარი ფართობიდან საშუალოდ ჰექტარზე — 300 ფუთამდე სიმინდს.

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ ის ბრიგადები, რომელთა ხელმძღვანელებია ე. ჯაფარიძე, ა. ბაქრაძე, ა. უგრეხელიძე. თვითეული მათგანი მოხავლელად მიჩენილი ფართობის ყოველ ჰექტარზე 600 ფუთამდე სიმინდს ელის, ახლა ისინი ნაყოფიერად მუშაობენ სიმინდის მოსავლის უდანაკარგოდ აღებაზე.

**სურათზე:** დაბა ბოლნისის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ოცდაათიათასოვანი ა. ხიდაშელი (ცენტრში), ბრიგადირი ე. ჯაფარიძე (მარცხნივ) და აგრონომი გ. ბაციკაძე ამოწმებენ სიმინდს აღების წინ.

ტექსტი შ. ზანათელისა,
ფოტო შ. ჩხეტიანისა.

## შაქრის ჭარხლის აღება

გაჩაღდა შაქრის ჭარხლის მოსავლის აღება. 1 ოქტომბრისათვის სულ აღებულია 664 ჰექტარი, გეგმის 13,3 პროცენტი. ხაშურის რაიონში აღებულია 106 ჰექტარი შაქრის ჭარხალი, ქარელის — 243, გორის — 135, კასპის რაიონში — 139, ხოლო სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — 41 ჰექტარი.

# რაციონალიზატორებს ყურადღება არ აქცევენ

ცნობილია, რომ ნოვატორები — გამომგონებლები და რაციონალიზატორები თავიანთი წინადადებებით დიდ დახმარებას, ძვირფას სამსახურს უწევენ წარმოებას. მათ წინადადებათა განხორციელების შედეგად უმჯობესდება ტექნიკა, იზოგება დრო, ნედლეული, იზრდება პროდუქციის გამოშვება, მაღლდება მისი ხარისხი. მაგრამ ჩვენს ფაბრიკაში რაციონალიზატორებთან და გამომგონებლებთან მუშაობა ცუდად არის მოწყობილი. დროულად არ განიხილავენ წინადადებებს, ხოლო მოწონებულის დანერგვას დიდი ხნით აჭიანურებენ.

შვიდი წლის წინათ სარემონტო ბრიგადის ოსტატმა ს. ბარანოვმა და ზეინკალმა გ. აშიანმა საქსოვ დაზგაზე გააკეთეს სიმკვრივის მარეგულირებელი მოწყობილობა, რომელიც ფაბრიკაში განიხილეს, მაგრამ რაციონალიზატორული წინადადების ავტორებმა დღემდეც არ იციან პასუხი: მოიწონეს თუ დაიწუნეს მათი წინადადება.

შემკეთებელი ბრიგადის ოსტატმა გ. დავითაიამ და ზეინკალმა შ. შოთაშვილმა წამოაყენეს რაციონალიზატორული წინადადება ქსელის დასამუხრუჭებელი ახალი მოწყობილობის დამზადების შესახებ. წინათ დასამუხრუჭებლად იყენებდნენ სიმძიმეებს, ღერძზე ბევრი საწონი ეკიდა, რომელიც ქსელის დაჭიმვისას თოკს წყვეტდა. უზრუნველყოფილი არ იყო უსაფრთხოება. შოთაშვილისა და დავითაიას წინადადებით დამუხრუჭება ისე ეწყობა, რომ საჭირო არ არის სიმძიმეები, თოკი, და მოსალოდნელი ხიფათიც თავიდან არის აცილებული. მათი წინადადება მხოლოდ ორ დაზგაზე განახორციელეს. მიუხედავად იმისა, რომ მუხრუჭები წარმატებით მუშაობენ, ისინი ჯერაც არ მიუღიათ და მათ ფართოდ გამოყენებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

მე რამდენიმე რაციონალიზატორული წინადადების ავტორი ვარ. ზოგიერთი ჩემი წინადადება უკვე განხორციელებულია და გარკვეულ ეკონომიურ ეფექტსაც იძლევა, მაგრამ რამდენს, არ ვიცი, გამოანგარიშებული არ არის. ერთ-ერთი წინადადება ასეთია: წინათ ქსოვილს იღებდნენ ხელით, ამის გამო იგი ისვრებოდა და იხეოდა. 1955 წელს წარვადგინე წინადადება დამზადებულიყო ქსოვილის ამოსაღები მოწყობილობა. იგი მართლაც გააკეთეს. ახლა დაზგების 80 პროცენტი ასეთი დანადგარით არის აღჭურვილი. მიუხედავად იმისა, რომ იგი დაინერგა, დღემდე არ არის ზუსტად გამოანგარიშებული, თუ რა ეკონომიას აძლევს წლიურად წარმოებას.

აი მეორე მაგალითი. ახალ საქსოვ დაზგებს არ ჰქონდა მისკვნის დროს ქსელის დასადგმელი დგამები. ისინი ერთი ადგილიდან მეორეზე გადაჰქონდათ. დგამები [illegible] არ იყო [illegible] და მათ შეზიდვაში იკარგებოდა დრო, იკარგებოდა შრომა. შარშან მოიწონეს ჩემი წინადადება, რომელიც ზედ დაზგაზევე ითვალისწინებს ქსელის დასადგმელის მოწყობას. იგი ხელს უწყობს ძაფების თანაბარ გამოსვლას, იძლევა ქსელის ეკონომიას, ამცირებს მუშახელის რაოდენობას. დამზადდა ორმოცი ასეთი დგამი. მათი ფართოდ დანერგვა არ განხორციელდა, არც ის არის გამოანგარიშებული, თუ რამდენ მანეთს დაუზოგავს წარმოებას. ამბობენ, ფაბრიკაში მასალები არა გვაქვს, ამიტომ სხვა დაზგებისათვის დგამები ვერ დავამზადეთო. მსგავსი შემთხვევები ხშირია. კუთხოვანი რკინის უქონლობის გამო ბოლომდე არ დაინერგა აგრეთვე ა. კახიანის წინადადება. რაციონალიზატორებისა და მათი წინადადებებისადმი ასეთი დამოკიდებულების პირდაპირი შედეგია, რომ ფაბრიკაში მასობრივად არ არის განვითარებული რაციონალიზაცია და გამომგონებლობა. ყოველ 100 კაცზე მხოლოდ ოთხი წინადადება მოდის. მართალია, რაციონალიზატორული მუშაობისათვის გამოყოფილია სათანადო თანხა — 72.000 მანეთი, მაგრამ მას უნარიანად ვერ იყენებენ წასახალისებლად. არ ეხმარებიან წინადადებათა ავტორებს, არ ზრუნავენ მათთვის საჭირო პირობების შექმნისათვის. ამის მიზეზი პირველ რიგში ის არის, რომ ეს საქმე ფაბრიკაში თვითდინებაზეა მინდობილი. იგი შეთავსებით დავალებული აქვს ტექნიკის უსაფრთხოების დარგში მომუშავე მუშაკს ი. სანოვიჩს, რომელიც ვერ ერკვევა წარმოების ტექნოლოგიის საკითხებში, ამიტომ ზოგჯერ არაობიექტური კონსულტანტების გავლენის ქვეშ ექცევა, რასაც მოსდევს საყურადღებო წინადადების დაუსაბუთებელი უარყოფა. დაწესებული პრემიის გაცემა ხშირად წინადადების ფაქტიური ეკონომიის მიხედვით კი არ წარმოებს, არამედ ისე, „მოჭრით“, ვისაც როგორ მოეპრიანება. მნიშვნელოვანი საქმისადმი ასეთ დამოკიდებულებას მოსდევს ავტორთა უკმაყოფილება, სტიმულს არ აძლევს მათ შემდგომი შემოქმედებითი მუშაობისათვის.

ამას წინათ ფაბრიკის დირექციამ, პროფკავშირის კომიტეტმა და სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების საბჭომ მოაწყეს წარმოების რაციონალიზატორების, ნოვატორებისა და მოწინავეთა კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და რაციონალიზაციის საკითხებს. კარგია, რომ ასეთი კონფერენცია იქნა მოწვეული, მაგრამ იგი სუსტად იყო მომზადებული და არაორგანიზებულად ჩატარდა.

**ა. ელიაშვილი,**
თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის ცვლის ოსტატი.

## გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

მახარაძის რაიონის სოფელ ექადიის კოლმეურნეობაში არღვევენ საკოლმეურნეო წესდებას, კოლმეურნეობის თავმჯდომარე ა. გოგუაძე დანაშაულს სჩადის, — სწერდა რედაქციას სოფლკორი.

წერილი ზომების მისაღებად გადაეგზავნა პარტიის მახარაძის რაიკომს, რომელიც გვატყობინებს, რომ სოფელ ექადიის კოლმეურნეობის თავმჯდომარის ა. გოგუაძის საკითხი განიხილა რაიკომის ბიურომ. საკოლმეურნეო ქონების გაუფრთხილებლობისათვის ა. გოგუაძეს დაედო მკაცრი პარტიული სასჯელი. ბიურომ დასახა ღონისძიებანი კოლმეურნეობაში მუშაობის გასაუმჯობესებლად.

*კონსულტაცია*

# საშემოდგომო ხორბალი ვთესოთ მხოლოდ დარაიონებული ჯიშების თესლით

საქართველოში თავთავიანი მარცვლეული კულტურებიდან ყველაზე უფრო გავრცელებულია საშემოდგომო ხორბალი. მას 2,8-ჯერ მეტი ფართობი უკავია, ვიდრე ყველა სხვა თავთავიან კულტურას. ამიტომ საშემოდგომო ხორბალს მეექვსე ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული მოსავლიანობის დავალებათა შესრულებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. 1960 წლისათვის მარცვლეულის წარმოება ჩვენს რესპუბლიკაში 1,3-ჯერ უნდა გადიდდეს.

საშემოდგომო ხორბლის მოსავლიანობის გადიდებისათვის ბრძოლაში ერთ-ერთ ძირითად ღონისძიებას უხვმოსავლიანი მაღალი ღირსების მარცვლის მქონე დარაიონებული ჯიშების დანერგვა წარმოადგენს.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან არსებული სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშთაგამოცდის სახელმწიფო კომისიის საქართველოს ჯიშთაგამოცდის ნაკვეთებზე გამოვლინებული და დარაიონებულია საშემოდგომო ხორბლის ჯიშები, რომელთა დანერგვა წარმოებაში 15-20 პროცენტით და მეტად გაადიდებს მოსავლიანობას. ეს კარგად აქვთ შეგნებული წითელწყაროელ კოლმეურნეებს, რომლებიც სწრაფი ტემპით აწარმოებენ ძველი, შედარებით უფრო დაბალმოსავლიანი ჯიშების შეცვლას.

1951 წელს წითელწყაროს და სიღნაღის რაიონების შირაქის ველისა და უკანამხარისათვის დარაიონებული იყო ჯიში „ნოვოუკრაინკა-83“, რომელსაც 1954 წელს წითელწყაროს რაიონში საშემოდგომო ხორბლის მთელი ნათესი ფართობის 62,2 პროცენტი ეკავა, 1956 წელს 92 პროცენტი. ხსენებული ზონიდან თითქმის მთლიანად განიდევნა ადგილობრივი დოლის პურის ჯიშები (თეთრი და წითელი დოლი) — „დოლის პური 35-4“ და „კოოპერატორკა“, რომლებსაც მცირე მოსავლიანობასთან ერთად სხვა უარყოფითი თვისებები (ჩაწოლა, ჟანგათი დაავადება და სხვ.) ახასიათებს.

წითელწყაროს რაიონის ზემო ქედის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში მოწყობილ ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე 5 წლის განმავლობაში „ნოვოუკრაინკამ-83“ ჰექტარზე 28,9 ცენტნერი მოსავალი მოგვცა, იმავე წლების განმავლობაში „დოლის პური 35-4“-დან მიღებული იყო 20,9 ცენტნერი და „კოოპერატორკადან“ — 23,8 ცენტნერი. ადგილობრივი „თეთრი დოლი“ და „წითელი დოლი“ „ნოვოუკრაინკა-83“-ს ჰექტარზე მოსავლიანობაში 8-9 ცენტნერით ჩამორჩნენ.

„ნოვოუკრაინკა-83“ აგრეთვე დარაიონებულია მარნეულის, ბოლნისის და გარდაბნის რაიონებისათვის. მარნეულის სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშთაგამოცდის ნაკვეთის მონაცემებით „ნოვოუკრაინკა-83“ წინათ დარაიონებულ ჯიშთან — „ფეროგინეუმ 9704/2“-თან შედარებით ჰექტარზე 3,1 ცენტნერით მეტ მოსავალს იძლევა, უფრო გამძლეა ჩაწოლისა და ცვენადობისადმი და მაღალი ღირსების პურისცხობით ხასიათდება. მარნეულის რაიონში მას 1953 წელს მხოლოდ 922 ჰექტარი ფართობი ეკავა, ხოლო 1956 წელს 8.100 ჰექტარს მიაღწია.

გორის, ქარელის, ხაშურის, კასპის და მცხეთის რაიონებში ფართოდ არის გავრცელებული დარაიონებული ჯიშები — „დოლის პური 35-4“, ადგილობრივი „თეთრი დოლი“ და „შავფხა“. ახალი დარაიონებული ჯიში „კახი-8“ ჰექტარზე 2-3 ცენტნერით მეტ მოსავალს იძლევა, მაგრამ მის ფართოდ გავრცელებას ხელს უშლის ამ ჯიშის მიდრეკილება ცვენადობისადმი. ამის თავიდან აცილება ადვილად შეიძლება მოსავლის დაუგვიანებლივ მექანიზებული წესით აღებით. უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ „კახი-8“ მარცვლის მაღალი ხარისხით მიეკუთვნება ძლიერი ხორბლების ჯგუფს, მას იყენებენ შედარებით უფრო დაბალი ტექნოლოგიური თვისებების მქონე ჯგუფის პურისცხობისუნარიანობის გასაუმჯობესებლად.

ჯიში „ვარგისი“, რომელიც გამოყვანილია სტალინირის სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე ჯიში „ნებრედიდან“ მასობრივი გადარჩევის გზით, დარაიონებულია სტალინირის, ზნაურის, ლენინგორის, საგარეჯოს და გარეჯის რაიონებისათვის. სტალინირის და საგარეჯოს სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშთაგამოცდის ნაკვეთებზე „ვარგისის“ მოსავალი „დოლის პური-35-4“-ის მოსავალს საშუალოდ ჰექტარზე 5-6 ცენტნერით აღემატება. სტალინირის რაიონის სოფელ არგვიცის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობაში „ვარგისიდან“ ჰექტარზე მიღებული იყო 29,3 ცენტნერი მშრალი მარცვლის მოსავალი. იმავე პირობებში დათესილი „დოლის პური 35-4“-ის მოსავალმა 12,8 ცენტნერს მიაღწია.

საგარეჯოს რაიონის სოფელ სართიჭალის მეცხრამეტე პარტყრილობის სახელობის და სოფელ პატარძეულის ლენინის სახელობის კოლმეურნეობებში „ვარგისის“ მოსავალი ჰექტარზე 6 ცენტნერით მეტი იყო „დოლის პური-35-4“-ის მოსავალზე. „ვარგისს“ ახასიათებს გამძლეობა ჩაწოლისადმი, ჟვალვისადმი და ჟანგათი დაავადებისადმი, არ არის ცვენადი. „ვარგისი“ ფართოდ უნდა დაინერგოს მისი დარაიონების ზონაში.

ასევე გამოვლინებული და დარაიონებულია საშემოდგომო ხორბლის უხვმოსავლიანი ჯიშები საქართველოს სხვადასხვა აგროკლიმატური ზონებისათვის. მაგრამ მთელ რიგ რაიონებში ჯერ კიდევ არ ექცევა ჯეროვანი ყურადღება დარაიონებული ჯიშების დანერგვას წარმოებაში.

გარდაბნის რაიონში სარწყავ პირობებში დღემდე ითესება დაურაიონებელი ჯიშები „დოლის პური ნარევი“, „დოლის პური-I.846“ და „კრასნოდარკა“, რომლებიც ამავე რაიონისათვის დარაიონებულ ჯიშს „ნოვოუკრაინკა 83-ს“ მოსავლიანობაში ჰექტარზე 5-7 ცენტნერით ჩამორჩება. ამავე რაიონში „ნოვოუკრაინკა 83“-მა უნდა შეცვალოს დარაიონებული ჯიში „ფეროგინეუმი 9704/2“, რომელიც ქარების მოქმედების ზონაში მიდრეკილებას იჩენს ცვენადობისადმი.

თეთრი წყაროს რაიონში საშემოდგომო ხორბლის დაურაიონებელ ჯიშებს „დოლის პურს 1.846“-ს, „დოლის პურს 35-4“-ს და „ხულუგოს“ თესავენ. ისინი დარაიონებულ ჯიშებს მოსავლიანობაში ჰექტარზე 2,7 — 5,0 ცენტნერით ჩამორჩებიან. დაურაიონებელ ჯიშებს თესავენ ახმეტის, თელავის, ახალქალაქის, სიღნაღის, ამბროლაურის, დუშეთის რაიონებში.

მართალია, 1956 წლისათვის საშემოდგომო ხორბლის ჯიშები დარაიონებულია საქართველოს ყველა აგროკლიმატური ზონებისათვის, მაგრამ არ შეიძლება არსებული ჯიშებით დავკმაყოფილდეთ. სსრ კავშირის სელექციის სადგურები, საცდელ-სამეცნიერო დაწესებულებები და მცდელი კოლმეურნეები აწარმოებენ ძველი ჯიშების გაუმჯობესებას და ახალი ჯიშების გამოყვანას. ჯიშების გამოცდა ტარდება სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშთაგამოცდის ნაკვეთებზე და გამოვლინებული უხვმოსავლიანი ჯიშები ეძლევათ კოლმეურნეობებს და საბჭოთა მეურნეობებს წარმოებაში დასანერგავად.

წითელწყაროს სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე გამოვლინებულია საშემოდგომო ხორბლის ახალი უხვმოსავლიანი ჯიში „მოწინავე“, რომელიც გამოყვანილია საქართველოს სახელმწიფო სასელექციო სადგურის მიერ. ხსენებულ ნაკვეთზე „მოწინავეს“ მოსავალმა ჰექტარზე 43,7 ცენტნერს მიაღწია, ხოლო 10 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 41,6 ცენტნერი მოსავალი მიიღეს. ეს ჯიში სოკოვანი ავადმყოფობით თითქმის სრულებით არ ავადდება, მცენარეთა ნორმალური სიხშირის დროს ჩვეულებრივ არ წვება და სავსებით ვარგისია კომბაინით მოსავლის აღებისათვის, არ არის ცვენადი და პურისცხობის მაღალი ხარისხით ხასიათდება. ჯიში „მოწინავე“ ასეთივე დადებითი თვისებებით ხასიათდება თელავის და თეთრი წყაროს ჯიშთაგამოცდის ნაკვეთების მონაცემებით.

აღნიშნული ჯიში ფართოდ უნდა გამოიცადოს სხვა რაიონებშიც, ხოლო სადაც ის უკვე საკმაოდ გამოცდილია, დარაიონდეს და დაინერგოს წარმოებაში. სამწუხაროდ, ზოგიერთი რაიონის ხელმძღვანელები ახლადგამოვლინებული პერსპექტიული ჯიშების საწარმოო პირობებში გამოცდას სათანადო ყურადღებას არ აქცევენ. თეთრი წყაროს რაიონის ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობაში, სადაც საწარმოო გამოცდა ჩაატარა მეთესლე აგრონომმა ამხ. ლევიცკიმ, „მოწინავე“ შეადარა დაურაიონებელ ჯიშს „ცეზიუმ 3/10“-ს, დათესა დიდი დაგვიანებით — 17 ნოემბერს და ჰექტარზე მხოლოდ 3,94 ცენტნერი მოსავალი მიიღო. ცხადია, ცდა დაწუნებულია. მიმდინარე შემოდგომით „მოწინავეს“ საწარმოო პირობებში გამოცდა გათვალისწინებულია მთელი რიგი რაიონების კოლმეურნეობებში.

საქართველოს მრავალფეროვან აგროკლიმატურ პირობებში არის შემთხვევები, როცა საშემოდგომო ხორბლისა და სხვა კულტურების ნათესები ზიანდება სეტყვისაგან, დაავადებისა, ქარისა და სხვა უარყოფითი მოვლენებისაგან. აგრეთვე ვხვდებით აგროტექნიკურ ღონისძიებათა დარღვევის შედეგად დაბალი მოსავლის მიღებას, რაც სათესლედ არ გამოდგება. ასეთი შემთხვევებისათვის კოლმეურნეობებს უნდა ჰქონდეთ გამოყოფილი სათესლე მასალა სადაზღვევო ფონდში წინა წლის მოსავლიდან.

ხშირია შემთხვევები, როდესაც ნათესების დაღუპვის დროს კოლმეურნეობებს სადაზღვევო ფონდები არ აღმოაჩნდებათ ან, თუ აქვთ, მეტად მცირე რაოდენობით და თხოულობენ თესლს სესხის ან გადაცვლის წესით. იმისათვის, რომ დაზარალებული რაიონები უზრუნველყოფილ იქნან თესლით, სახელმწიფო დამზადებიდან რაიონებში მთელ რიგ შემთხვევებში შეაქვთ დაურაიონებელი ჯიშების თესლი, რაც, ცხადია, მოსავლიანობას ვერ გაადიდებს.

მიმდინარე წელს ხორბლის სათესლე მასალას თხოულობენ თიანეთის, დუშეთის, თეთრი წყაროს, დმანისის და სხვა რაიონები, რომელთა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად საკმაო რაოდენობით არ არის დამზადებული მათი პირობებისათვის დარაიონებული ჯიშების თესლი, რის გამო ეს რაიონები ნაწილობრივ დაურაიონებელი ჯიშების სათესლე მასალას იყენებენ. ცხადია, ეს ვერ უზრუნველყოფს მოსავლიანობის გადიდებას. კოლმეურნეობებში აუცილებლად უნდა გამოიყოს სადაზღვევო ფონდები ჯიშების მიხედვით. გარდა ამისა, სახელმწიფო დამზადების ფონდებში ჩაიყაროს თესლი დარაიონებული ჯიშების მიხედვით ყველა რაიონის სპეციფიკურობის გათვალისწინებით.

ახალქალაქის, ასპინძისა და სხვა მაღალმთიან რაიონებში, სადაც საშემოდგომო ხორბლის მოსავლის აღებისა და თესვის ვადებს შორის არ არის საკმაო პერიოდი ახალი მოსავლიდან თესლის კონდიციამდე აყვანისათვის, დროულად დათესვის მიზნით საჭიროა კოლმეურნეობებში სათესლე და სადაზღვევო ფონდების მრავალი წლისათვის გამოყოფა წარმოებდეს წინა წლის მოსავლიდან.

საშემოდგომო ხორბლის დარაიონებული ჯიშების თესვა მხოლოდ მაშინ მოგვცემს მოსავლიანობის სასურველ გადიდებას, როდესაც მაღალი ჯიშობრივი და ფიზიკური თვისებების მქონე თესლით თესვის დროს დავიცავთ აგროღონისძიებათა მთელ კომპლექსს.

ახლა ამოცანა ის არის, რომ პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებით გათვალისწინებული ღონისძიება— უახლოეს წლებში გადასვლა მარცვლეული კულტურების დარაიონებული ჯიშების თესლით თესვაზე — საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშაკებმა უმოკლეს ვადაში განახორციელონ და მომავალ წელს მკვეთრად გაადიდონ მარცვლეულის წარმოება.

აგრონომები: **ბ. ჯანელიძე, ვ. გორგოშიძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მტკიცე საკვები ბაზა — მეცხოველეობას



ჯავის რაიონის სოფელი ერმანი მდინარე დიდი ლიახვის სათავესთან ზღვის დონიდან 2.400 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს. აქაური ალპური საძოვრების სიუხვე, ბუნების სილამაზე იპყრობს ადამიანის ყურადღებას, ხიბლავს მნახველს.

1935 წელს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ ერმანში გახსნა სამთო-სამდელოო სტაციონარი. სტაციონარისათვის აურჩევიათ ლიახვის მარცხენა ნაპირას მდებარე შემაღლებული პატარა ზეგანი, რომელიც შუა და ზემო ერმანის ხეობების შემაერთებელი წერტილია. ზეგანის დასავლეთით აღმართულია მთა ფიდარი, ხოლო უფრო მოშორებით მოსჩანან ზამთარ-ზაფხულ თოვლით დაფარული მწვერვალები. სწორედ აქ, სუბალპური და ალპური საძოვრების საზღვარზე, 21 წლის წინათ დაიწყო მაღალმთიანი მემცენარეობის შესწავლა.

სტაციონარის დანიშნულებაა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მთის ზონის ფლორის, საძოვრებისა და მდელოების შესწავლა, რასაც ესოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს მეცხოველეობის განვითარებისათვის ჩვენი ქვეყნის მთიან რაიონებში.

სტაციონარის დაარსების პირველი დღეებიდანვე დიდ მეცნიერულ მუშაობას ეწევა ლენინგრადიდან ჩამოსული პროფესორი ელისაბედ ალექსანდრეს ასული ბუში. 70 წელს გადაცილებული მეცნიერი დღესაც ახალგაზრდული მონდომებით ემსახურება იმ საქმეს, რომელსაც 21 წლის წინათ ჩაეყარა საფუძველი.

1938 წლიდან სტაციონარს, გარდა საცდელი ნაკვეთისა, სამეთვალყურეოდ აქვს 15 სამდელოო უბანი. კვლევით მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად აქ მოდიან მეცნიერი მუშაკები, ასპირანტები, სტუდენტები მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, კიროვიდან, სტავროპოლიდან, გორკიდან, კიევიდან, თბილისიდან და სსრ კავშირის სხვა ადგილებიდან.

მეცნიერ მუშაკთა მოღვაწეობის მთავარ თემას შეადგენს ძირითადი სამდელოო ბალახების ბიოლოგიის, ეკოლოგიისა და მორფოლოგიის შესწავლა.



ბუში და მისი კოლეგები ამასთან სწავლობენ მავნე და სარეველა მცენარეების წინააღმდეგ ბრძოლის ხერხებს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მრავალწლიანი ბალახების თესვას.

მნიშვნელოვანია სტაციონარის ცდები მრავალწლიანი ნარევბალახეულის აღმოცენებასა და შესწავლაში. მხცოვანი პროფესორი წლების განმავლობაში იკვლევს ერმანის ახლომახლო მდელოებს, ავლენს ბალახის ცალკეულ სახეობათა საკვებ ღირებულებას. მრავალგვარმა ცდებმა ცხადყო, თუ რა მდიდარია კავკასიის სუბალპური და ალპური საძოვრები, როგორ არის საჭირო მათი გაუმჯობესება და გამოყენება. სტაციონარი ახორციელებს ღონისძიებებს, მდელოებზე ზემოქმედებას, რათა მტკიცე საკვები ბაზა შეუქმნას სწრაფად მზარდ მეცხოველეობას.



ადგილობრივ მდელოებსა და საძოვრებზე შერჩეულია 18 სახის მრავალწლიანი ბალახი. ზოგიერთი მათგანის ნათესს ნახავთ სტაციონარის საცდელ ნაკვეთში. ამ მრავალწლიან ბალახებს შორის საკმარისია დავასახელოთ მდელოს ტიმოთელა, რომლის ნათესი ნაკვეთიდან 50-60 ცენტნერი თივა აიღეს ჰექტარზე. ჩვეულებრივ მდელოებზე მიღებული თივა კი ჰექტარზე 18-25 ცენტნერს არ აღემატება. ბევრი სხვა მრავალწლიანი ბალახია, რომელთა თესვას ახლა სტაციონარი აწარმოებს და რომლის თესლი შეგროვებულია საცდელი ნაკვეთის მიდამოებში. ისინი ჰექტარზე 40-50 ცენტნერ თივას იძლევიან. სტაციონარი ამჟამად მუშაობს იმაზე, თუ როდის და რა პირობებში შეიძლება ხელოვნური მდელოების რამდენჯერმე გათიბვა. ცდებით დადასტურდა, რომ მთელი რიგი მრავალწლიანი ბალახები განუწყვეტლივ იძლევიან მოსავალს 10-12 წლის განმავლობაში.

პროფესორი ბუში დიდი პოპულარობით სარგებლობს მთის სოფლების მოსახლეობაში. იგი მთიელთა აგრონომი და მრჩეველი, დამრიგებელი და მეგობარია; „ჩვენი ლიზა" — ასე უწოდებენ მას მთის სოფლების მცხოვრებნი. მეცნიერ ქალს წლების განმავლობაში სისტემატურად ირჩევენ მშრომელთა დეპუტატების საოლქო და რაიონული საბჭოების დეპუტატად.

ე. ა. ბუშის და, საერთოდ, სამთო-სამდელოო სტაციონარის ნაყოფიერ მუშაობაზე ლაპარაკობს მრავალრიცხოვანი სამეცნიერო შრომები, რომლებიც აქ, კავკასიის მთების სიღრმეში დაიწერა.

თვით ელისაბედ ალექსანდრეს ასულს აქ ყოფნის პერიოდში დაწერილი და დაბეჭდილი აქვს 10 მეცნიერული ნაშრომი. ეს ნაშრომები უდიდეს პრაქტიკულ ღირებულებას წარმოადგენენ არა მარტო ჩვენი რესპუბლიკის მთიანი რაიონების შესასწავლად, არამედ მათ უდიდესი მნიშვნელობა აქვთ ქვეყნის ჩრდილოეთის მხარეებისა და სხვა მთიანი რაიონებისათვის.

ნაყოფიერ მეცნიერულ მუშაობას ეწევიან სტაციონარში მოსული ასპირანტები, დიპლომანტები, სტუდენტები. ბევრი მათგანი რამდენიმე წლის განმავლობაში მუშაობს აქ და მეცნიერულ დაკვირვებას ახდენს მდელოებსა და საძოვრებზე. რამდენიმე ახალგაზრდა სპეციალისტმა, რომლებმაც აქ წლები გაატარეს, წარმატებით დაიცვა დისერტაცია მეცნიერების კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად. ახლა აქ სადისერტაციო შრომებს ამზადებენ რ. მიქელაძე (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის ასპირანტი), ე. გოგინა (სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის ასპირანტი) და სხვები. აქვე არიან მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიპლომანტები, პრაქტიკაზე ჩამოსული სტუდენტები. პროფესორი ბუში ხშირად იმყოფება მათთან, ეხმარება ლაბორატორიული სამუშაოების შესრულების დროს.

მდელოებისა და საძოვრების შესწავლასთან ერთად სტაციონარში მიმდინარეობს ცდები ხორბლის, ქერის, კარტოფილის, ბოსტნეულისა და ბაღჩეული კულტურების მოსავლის მთის მკაცრ პირობებში მისაღებად.

სამხრეთ ოსეთის დაბალი ზონის კოლმეურნეობებშიც სარგებლობენ ბუშის მიერ გამოცდილი კარტოფილის თესლით. წელს ერედვის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ 2 ჰექტარი კარტოფილი დათესა აქედან წაღებული თესლით.

მაგრამ აქვე საჭიროა შევნიშნოთ, რომ ერმანის სამთო-სამდელოო სტაციონარში მიღებული გამოცდილება ჯერ კიდევ სუსტად ვრცელდება კოლმეურნეობებში. მთავარი, რასაც სტაციონარი ემსახურება, მდელოებისა და საძოვრების გაუმჯობესებაა. ერმანის საცდელ ნაკვეთებში გამოცდილი მრავალწლიანი ბალახების თესვას კი, თუ არ ჩავთვლით ერმანის კოლმეურნეობას, რომელსაც უმნიშვნელო ნაკვეთი აქვს, არცერთი კოლმეურნეობა დღემდე არ შესდგომია.

ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების მოვალეობაა გაავრცელონ და განაზოგადონ პროფესორ ე. ა. ბუშის მდიდარი გამოცდილება მრავალწლიანი ბალახების თესვისა და ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების მოყვანაში.

**ი. თედიაშვილი,**
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

• • •

**სურათებზე:** ზევით — პროფესორი ბუში ასპირანტებთან და სტუდენტებთან საცდელ ნაკვეთში მუშაობის დროს; შუაში — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის ასპირანტი რ. მიქელაძე სამთო-სამდელოო სტაციონარის საცდელ ნაკვეთში დაკვირვებას აწარმოებს მრავალწლიან ბალახზე. ქვევით — პროფესორი ბუში ჩამოსულ ასპირანტებსა და სტუდენტებს აცნობს მთის პირობებში კენკროვანთა მოყვანის გამოცდილებას.

ფოტო მ. ალბოროვისა.

# რაფიელ ერისთავის სახლი-მუზეუმი ქისტაურში

ქისტაური ერთ-ერთი დიდი და ლამაზი სოფელია ახმეტის რაიონში. ამ სოფელში დაიბადა და სიცოცხლის უმეტესი წლები გაატარა ცნობილმა ქართველმა პოეტმა და საზოგადო მოღვაწემ რაფიელ ერისთავმა. ერისთავის თანასოფლელები სათუთად ინახავენ პოეტის ხსოვნას: მის სახელს ატარებს ამ სოფლის საშუალო სკოლა; სოფლის ცენტრში მოთავსებულია პოეტის სახლი-მუზეუმი, რომელიც 1951 წელს გაიხსნა.

მუზეუმი სამი ოთახისაგან შედგება. პირველ ოთახში გამოფენილი სურათები და დოკუმენტები ასახავენ რ. ერისთავის ბავშვობისა და მოწაფეობის წლებს. აქვეა სურათი: „ქისტაურის საერთო ხედი", რომელიც შესრულებულია მწერლის შვილიშვილის — ალექსანდრე მაყაშვილის მიერ. ამავე ოთახში დგას პოეტის რკინის საწოლი, რომელზეც გადაფარებულია ხალიჩა და ფარდაგი. ეს უკანასკნელი (ფარდაგი) მოქსოვილია ალექსანდრე ყაზბეგის დის მიერ. მუზეუმში ინახება რაფიელის პირადი ნივთები: ფაიფურის თეფში, დანა-ჩანგალი, საფერფლე და ვერცხლის ვაზა წარწერით: „თ. რ. ერისთავს სენაკის სასულიერო საეპარქიო ნორმალური და საქალებო სასწავლებლის მასწავლებელთაგან 50 წლის იუბილეს სახსოვრად". ოთახში გამოფენილი დოკუმენტები ნათლად ასახავენ რ. ერისთავის მრავალფეროვან საზოგადოებრივ მოღვაწეობას, მის ყოფნას დუშეთში თუშ-ფშავ-ხევსურეთის ოლქის სასამართლოს თარჯიმნის თანამდებობაზე, ზუგდიდში და სხვაგან. მუზეუმში დაცულია ფოტოასლი რუსულ ჟურნალ „ნივასი" (1897 წ. № 35), რომელშიც დაბეჭდილია გ. ველიჩკოს წერილი ლევ ტოლსტოის, ილია ჭავჭავაძისა და რაფიელ ერისთავის შემოქმედებითი ურთიერთობის შესახებ. კრიტიკოსი ამ სამ მწერალს გლეხთა დუხჭირი ცხოვრების საუკეთესო მხატვრებს უწოდებს.

მეორე ოთახში წარმოდგენილი ექსპონატები ახასიათებენ რაფიელს, როგორც საბავშვო მწერალს, მოიგავარაკეს, მთარგმნელს, დრამატურგსა და საზოგადოებრივ მოღვაწეს.

მუზეუმის მესამე ოთახის სტენდებზე წარმოდგენილია ძველი და ახალი სოფელი. მათი დათვალიერებისას ნათლად ჩანს, თუ როგორ იცვალა სახე ქისტაურმა. სადღა გაიგონებთ თინიასა და ტეტიას მოთქმას, სადღა ნახავთ დარდიან თანდილას ან ჩაფიქრებულ ბერუას! დღევანდელ ქისტაურს შეუძლია იამაყოს თავისი გმირებ და შრომისმოყვარე კოლმეურნეებით, მათ შორის ცნობილი მეაბრეშუმე-ნოვატორებით ო. აივაზაშვილით, ვ. კვიცაშვილით, ნ. დურგლიშვილით, ყურძნის უხვი მოსავლის ოსტატებით ს. ტერტერაშვილით, ზ. ბუზალაძით, ისმაილოვით, ნ. კვიცაშვილით და საუკეთესო მეცხოველეებით.

მუზეუმს მრავალრიცხოვანი მნახველი ჰყავს. აქ რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხიდან მოდიან კოლმეურნეები, მუშა-მოსამსახურეები და მოსწავლეები, რომლებიც კმაყოფილი რჩებიან გემოვნებით განლაგებული ექსპონატების ნახვით. მარტო წელს სახლი-მუზეუმი 1.500-ზე მეტმა ექსკურსანტმა დაათვალიერა.

**ი. ბეჟანიშვილი,**
ახმეტის რაიონულ გაზეთ „გამარჯვების" რედაქტორი.

## მწვანით შევმოსოთ ჩვენი ქალაქები და სოფლები

### ახალგაზრდების ვალდებულებანი

**რუსთავი.** (საკ. კორ.). მეტალურგთა ქალაქის ახალგაზრდებმა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მიმართვის გაცნობისთანავე გადაწყვიტეს მოაწყონ ლაშქრობა რუსთავის ქუჩების, მოედნების, საცხოვრებელი უბნების, ქარხნებისა და სკოლების ეზოების შემდგომი გამწვანებისა და კეთილმოწყობისათვის.

ამ მხრივ მისაბაძ თაოსნობას იჩენენ სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის სარემონტო-მექანიკური საამქროს კომკავშირელები (კომკავშირის ორგანიზაციის მდივანი გ. დვალიშვილი). მათ ჯერ კიდევ გაზაფხულზე საამქროს ეზოში დარგეს ათობით ძირი აკაციის ხე, წიწვიანი და ფოთლოვანი მცენარეები, საწარმოსთან მისასვლელი გზები დაამშვენეს გაზონებითა და პატარა ხეივნებით. საამქროს კომკავშირელთა ახალი ვალდებულებაა თავიანთი საწარმოს ტერიტორია მთლიანად გაამწვანონ.

მეტალურგიული ქარხნის კომკავშირელებს განზრახული აქვთ ახლო ხანში ყველა საამქროს ახალგაზრდობის მონაწილეობით მოაწყონ შაბათობა, გაწმინდონ ქარხნის ტერიტორია და გამწვანების სამუშაოთა შესრულების პარალელურად შეაგროვონ დიდძალი ჯართი.

რუსთავის მექანიკური ქარხნის ახალგაზრდებმა იკისრეს წლის ბოლომდე საწარმოს ტერიტორიაზე დარგონ 100 ძირი ხე და ბუჩქი, ამასთან მოაწყონ სასპორტო მოედნები ირგვლივ ლამაზი გაზონებით.

### მისაბაძი მაგალითი

თბილისის მოლოტოვის რაიონის ახალგაზრდები აქტიურად შრომობენ იმისათვის, რომ უფრო ლამაზი და მიმზიდველი გახადონ თავიანთი რაიონი, შეასრულონ ის ვალდებულებანი, რომლებიც მათ იკისრეს საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მიმართვის განხილვისას.

ეს ვალდებულებანი კი ბევრ საყურადღებო საკითხს ითვალისწინებს. სკოლებში გამართულმა თათბირებმა, რომლებიც მიმართვის განხილვას მიეძღვნა, მიიღეს გადაწყვეტილება გაამწვანონ სკოლების ეზოები, გააშენონ კულტურული მცენარეები, ყველა სკოლაში და კარლ მარქსის სახელობის მოედანზე მოაშენონ მტრედები. ამასთან 23-ე, 30-ე, 31-ე, 32-ე და 36-ე საშუალო სკოლების მოსწავლეები მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, კოსტა ხეთაგუროვის ქუჩიდან კარლ მარქსის სახელობის ხიდამდე, დარგავენ და გაახარებენ რამდენიმე ასეულ ძირ ხეს, გაზონებს გაამდიდრებენ ყვავილებითა და ბუჩქებით.

რაიონის ახალგაზრდობას ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის დღესდღეობით გადაცემული აქვს 1.500 ძირი ნერგი.

**მ. ჭიჭინაძე.**

### რედაქციისაგან

ჩვენი გაზეთის 1955 წლის 25 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნდა ფელეტონი „ნაწყვეტები სულიკოს დღიურიდან". ფელეტონში მოყვანილი ბრალდებები, რომლებიც წაყენებული იყო საქართველოს სს რესპუბლიკის ხორცისა და რძის მრეწველობის მინისტრის გ. ჯომარჯიძისადმი, შემოწმებით არ დადასტურდა. ფელეტონის ავტორს ამხ. გ. შუბიძეს მკაცრი საყვედური დაედო.

# მეცნიერება და ტექნიკა

## მექანიკური ტიტანი



გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ქალაქ მაგდებურგის ე. ტელმანის სახელობის მძიმე მანქანათმშენებლობის ქარხანა უშვებს მსოფლიოში ყველაზე დიდ ქვისსამტვრევ მანქანას სამთომადნო და სამშენებლო მრეწველობისათვის.

ამ მანქანაში შეიძლება ჩაიტვირთოს ერთი კუბმეტრი სიდიდის ლოდები, წონით რამდენიმე ათასი კილოგრამი. რამდენიმე წუთის შემდეგ ეს ლოდები აგურის ოდენა ქვებად იქცევა.

## ავტომატი-მთარგმნელი

მეცნიერებამ ბევრი ისეთი საკითხი გადაჭრა, რაც ერთ დროს ადამიანებს მხოლოდ ფანტაზიად მიაჩნდათ. პირველი ელექტროსაანგარიშო მანქანების შემდეგ შეიქმნა ისეთი მანქანა-ავტომატები, რომლებიც აწარმოებენ თარგმნას ერთი ენიდან მეორეზე, თამაშობენ ჭადრაკს, მართავენ დაზგებს და მთელ ქარხნებს.

საბჭოთა კავშირის მეცნიერები საინტერესო მუშაობას აწარმოებენ ავტომატი-მთარგმნელი მანქანის შესაქმნელად და მნიშვნელოვან შედეგებსაც მიაღწიეს ამ მიმართულებით. 1955 წელს ჩატარებული გამოცდის დროს ახალმა მანქანამ მშვენივრად თარგმნა საკმაოდ რთული ტექსტი ინგლისურიდან რუსულ ენაზე.

საინტერესოა, რომ შემოწმებისათვის იგივე ტექსტი მისცეს ხამ სპეციალისტ-მთარგმნელს. ამ შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვიდა ყველაზე ახალგაზრდა და ყველაზე გამოუცდელი მონაწილე—ავტომატი-მთარგმნელი. მან თარგმანი შეასრულა არა მარტო სწრაფად, არამედ, საყოველთაო აღიარებით, უფრო ზუსტად და გამართულად, ვიდრე მისმა მეტოქეებმა.

არის ისეთი მანქანა, რომელიც თარგმნის 20 სხვადასხვა ენიდან, რა თქმა უნდა, სიტყვათა რაოდენობის გარკვეულ ფარგლებში. ჩატარებულმა ცდებმა გვიჩვენა, რომ ავტომატ-მთარგმნელ მანქანებს უდიდესი მომავალი აქვთ.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი ა. ნ. ნესმეიანოვი ამას წინათ წერდა, რომ მანქანები კარგი „ლოგიკით" და დიდი „მეხსიერებით" გამოყენებული იქნებიან არა მარტო როგორც „მთარგმნელები", არამედ როგორც ლიტერატურული რედაქტორები.

## ჩეხოსლოვაკური ელექტრონული მიკროსკოპი

ქალაქ ბრნოს სპეციალური ოპტიკური ლაბორატორიის თანამშრომელთა კოლექტივმა შეიმუშავა ელექტრონული მიკროსკოპის კონსტრუქცია, რომელიც ადიდებს 30-ათასჯერ.

მიკროსკოპს აქვს ხელსაწყო გამოსახულების ფოტოგადაღებისა და ფირიდან მისი შემდგომი გადიდებისათვის. ასეთი ხელსაწყოს საშუალებით შეიძლება გადიდება 150-ათასჯერ.

მიმდინარე წელს ჩეხოსლოვაკიის ქალაქ ბრნოს ქარხანა „ტესლაში" დაიწყება ასეთი მიკროსკოპის სერიული წარმოება.

# საქმე № 2/87

ჭიათურის რაიონში მდებარეობს სოფელი წირქვალი. აქ შრომობდნენ და ცხოვრობდნენ სერგო და ბაბილინა მიროტაძეები. შრომა უყვარდათ ცოლქმარს და შეძლებულადაც ცხოვრობდნენ. ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი, დამხმარე ნაგებობები, ძვირფასი საოჯახო ნივთები, შესანიშნავი ეზო ბაღ-ვენახით — ერთი სიტყვით კარგა წელგამართული ოჯახი ჰქონდათ. მაგრამ გულს მაინც აკლდათ. შვილი არ ჰყავდათ. უბავშვოდ კი მოწყენილობა სუფევდა მიროტაძეების ოჯახში. და აი ბაბილინამ ამ ოცი წლის წინათ ოჯახში მიიყვანა თავისი ძმისწული ორი წლის იუნონა გურული. ბავშვმა სიხარული შეიტანა ოჯახში. წამოიზარდა, საოჯახო საქმეებში შველოდა მამიდას, ბიძას. მალე იუნონამ წარმატებით დაამთავრა საშუალო სკოლა. ბიძა-მამიდა მშობლიურ მზრუნველობას არ აკლებდნენ ქალიშვილს. მთელმა სოფელმა იცოდა ეს.

1946 წელს სერგო მიროტაძე გარდაიცვალა. ოჯახში დარჩნენ ბაბილინა და იუნონა. მაგრამ აი 1948 წლის 8 დეკემბერს გარდაიცვალა ბაბილინაც. რომ იტყვიან, მიცვალებულს გაციებაც არ აცალესო, უმალვე გაჩნდნენ ქონების „მემკვიდრეები" ახლო და შორეული სოფლებიდან, თბილისიდან. მემკვიდრეები მშვიდობიანად ვერ მორიგდნენ და საქმე სასამართლომდე მივიდა. შედგა საქმე № 2/87. იუნონა გურულთან ერთად სერგო და ბაბილინა მიროტაძეების ქონების წილს ითხოვდნენ: ბაბილინას დისწული თინა მიროტაძე (რომელიც იუნონას ოჯახში მიყვანამდე მათთან იზრდებოდა), ბაბილინას და (იგივე თინას დედა) დონიკა მიროტაძე, სერგო მიროტაძის დისწულები — ნიკოლოზ ჯაჯანიძე და გიორგი გაფრინდაშვილი. 1949 წლის 25 იანვარს ჭიათურის რაიონის სახალხო სასამართლომ იუნონა გურული და თინა მიროტაძე ცნო სერგო და ბაბილინა მიროტაძეების ნაშვილევად და მემკვიდრედ. ეს გადაწყვეტილება დაადასტურა საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ. მაგრამ დავა და შეხლა-შემოხლა ამით როდი დამთავრდა, იგი კიდევ უფრო გამწვავდა.

1951 წლის 29 ივნისს დაინიშნა საქმის ხელახლა გარჩევა. მაგრამ ამისათვის სასამართლო სხდომის დანიშვნა არც ისე იოლი აღმოჩნდა.

ბევრი გადადება-გადმოდებისა და მოძრაობის შემდეგ საბოლოოდ საქმე გაირჩა 1952 წლის 13 აპრილს. მოძრავი ქონება ორ ნაწილად გაიყო. არაფერს ვიტყვით იმაზე, თუ რამდენად მიუკერძოებლად გაიყო ეს ქონება. მაგრამ უყურადღებოდ არ შეიძლება დავტოვოთ საქმეში არსებული ზოგიერთი აშკარად საეჭვო ცნობა და ხელწერილი.

სასამართლოში თ. მიროტაძეს წარუდგენია კოლმეურნეობის გამგეობის მიერ გაცემული ცნობა, თითქოს მან 1948 წელს გარდაცვლილი ბაბილინა მიროტაძის დაკრძალვის ხარჯებისათვის კოლმეურნეობისაგან ნაღდ ანგარიშზე იყიდა 538 ლიტრი ღვინო 2.152 მანეთად. მაგრამ ჩვენს ხელთ არის იმავე კოლმეურნეობის მიერ გაცემული ცნობა, სადაც აღნიშნულია, რომ თ. მიროტაძეს ბ. მიროტაძის დაკრძალვისათვის კოლმეურნეობისაგან არ უყიდია არც ერთი ლიტრი ღვინო. ესეც არ იყოს, სასამართლო პროცესზე მოწმეებმა გარკვევით აჩვენეს, რომ მიროტაძეების ოჯახს ღვინო ბლომად ჰქონდა და ბ. მიროტაძის გარდაცვალების შემდეგ კიდევ დარჩა რამდენიმე ათეული ფუთი ღვინო.

საქმეში ჩაკერებულია აგრეთვე რამდენიმე ასეთი ყალბი საბუთი. საკვირველია, რატომ გულდასმით არ განიხილეს ადგილობრივმა ან უმაღლესმა სასამართლომ ეს საეჭვო ხელწერილები, რატომ ანგარიში არ გაუწიეს მოწმეთა ჩვენებებს და სათანადო მსჯავრი არ დასდეს სიყალბის ჩამდენებს?

საინტერესოა ამასთან დაკავშირებული მეორე ამბავიც. როცა სასამართლოში დავა იყო, თინა მიროტაძის ძმამ ს. მიროტაძემ (ორივე და-ძმა მასწავლებელია) სასოფლო საბჭოში შეიტანა განცხადება მოხუცი მშობლებისაგან გამოყოფის შესახებ. მისი სურვილი დააკმაყოფილეს. ს. მიროტაძე დის ნამემკვიდრევ სახლში გადავიდა და იქ პოზიციები გაამაგრა. 1952 წლის 2 თებერვალს სასოფლო საბჭომ სერგოს მშობლებისაგან გამოყოფა სამართლიანად გააუქმა როგორც ფორმალური. ს. მიროტაძემ რაიაღმასკომს მიმართა. თავმჯდომარის ამხ. გ. ლომიძის ჩარევით სასოფლო საბჭოს აღმასკომმა 1952 წლის 18 აგვისტოს კვლავ ცალკე კომლად გამოჰყო ს. მიროტაძე. ახლა კი და-ძმამ დაიწყო იმისათვის ზრუნვა, რომ ხელთ ეგდოთ სერგო და ბაბილინა მიროტაძეების ვენახი და ეზო. რაიაღმასკომის 1955 წლის 11 ოქტომბრის დადგენილებით მათ უარი ეთქვათ ვენახზე. სამაგიეროდ ს. მიროტაძემ საკარმიდამო მიწის ნორმის შევსება მოითხოვა. ჯერ უარი უთხრეს, მაგრამ კოლმეურნეობამ 1953 წლის 29 ივლისის თარიღით ასეთი მიმართვა მიიღო:

„როგორც გამოირკვა, სერგო მიროტაძე თავის ცოლშვილით და დით თინა მიროტაძით გამოეყო ოჯახს და ფაქტიურად ცხოვრობენ ცალკე მის და თინაზე ანდერძით (ანდერძი სად არის? — პ. ჭ.) დატოვებულ სახლში. იგინი სას. საბჭოში ცალკე კომლად არიან აღრიცხული... საკითხი მისი საკარმიდამოს შესახებ დააყენეთ წევრთა კრებაზე და შეუვსეთ მას მიროტაძის ნორმა მის საცხოვრებელ სახლთან მდებარე (ეზო) საკარმიდამო ფონდის მიწოდან". ამ მიმართვას (რომლის სტილს უცვლელს ვტოვებთ) ხელს აწერენ რაიაღმასკომის თავმჯდომარე გ. ლომიძე და სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამმართველოს მაშინდელი უფროსი გ. ჭილაძე.

ამგვარად, და-ძმა მიროტაძეებმა ეზოც მთლიანად დაისაკუთრეს.

რა მდგომარეობაშია მეორე მემკვიდრე იუნონა გურული? იგი გასული წლის ოქტომბრიდან სასოფლო საბჭოს ბიბლიოთეკარად მუშაობს. ცალკე მეკომურად ითვლება. კოლმეურნეთა საერთო კრებამ 1956 წლის 20 იანვარს დაადგინა: „იუნონა გურული არის მოსამსახურე, აღრიცხულია სას. საბჭოს ობიექტებში და ეკუთვნის საკარმიდამო 0,15 ჰა. მიეცეს საკარმიდამო საცხოვრებელი სახლის ძნლოს, ნებართვა ეთხოვოს რაისაბჭოს აღმასკომს".

მაგრამ კოლმეურნეთა საერთო კრების დადგენილება ვიღაცების ჩარევით აღმასკომმა გააუქმა. საუბარში ამხ. გ. ლომიძემ განაცხადა, რომ აღნიშნულ დადგენილებას ჩვენ აუცილებლად გადავსინჯავთ და კოლმეურნეობის საერთო კრების გადაწყვეტილებას ძალაში დავტოვებთო. ეს მომავლის საქმეა, ამჯერად კი ი. გურული ერთობ შევიწროებულია „მამიდაშვილებისაგან". მას საშუალებას არ აძლევენ შევიდეს კუთვნილ ნაგებობებში, მიროტაძეები ერთ გოჯ მიწას არ თმობენ, თავგამოდებით იბრძვიან იმისათვის, რომ აიძულონ ი. გურული დატოვოს იქაურობა.

ამ საქმეზე დავა რვა წელია გრძელდება. ვფიქრობთ დროა იგი საბოლოოდ დამთავრდეს.

**პ. ჭიოკაძე,**
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

## ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

პრაღა, 1 ოქტომბერი. (საქდესი). 25-27 სექტემბერს პრაღაში მიმდინარეობდა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. პლენუმმა განიხილა სოციალიზმის მშენებლობის საქმეში პროფკავშირთა ამოცანების საკითხი. მოხსენება გააკეთა ა. ზაპოტოცკიმ. ამ საკითხზე მიღებულია ვრცელი გადაწყვეტილება.

პლენუმმა განიხილა აგრეთვე სახალხო დაზღვევის რეორგანიზაციის საკითხი. ამ თემაზე მოხსენება გააკეთა პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარემ ფ. ზუპკამ. პლენუმმა მოიწონა პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს და პენსიით უზრუნველყოფის საქმეთა სახელმწიფო სამმართველოს წინადადება დაზღვევის რეორგანიზაციის შესახებ, რომლის ძირითადი საკითხები განხილულ იქნა პროფკავშირულ ორგანიზაციებში.

პლენუმმა გამოიტანა გადაწყვეტილება, რომ შეიქმნას ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის პრაღის საქალაქო კომიტეტი და გამოიყოს იგი ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის პრაღის საოლქო კომიტეტიდან. პრაღის საქალაქო პარტიულ ორგანიზაციას ექნება საოლქო პარტიული ორგანიზაციის უფლებები და უშუალოდ დაექვემდებარება ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს. პლენუმმა აირჩია აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ახალი მდივანი ამხ. ოლდრჟიხ ჩერნიკი, ოსტრავის საოლქო ეროვნული კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე.

პლენუმმა გამოიტანა გადაწყვეტილება პარტიული კონტროლის კომისიის შემადგენლობის გაფართოების შესახებ.

პლენუმმა გამოიტანა გადაწყვეტილება, რომ 1957 წლის მაისში მოეწყოს ეროვნული კომიტეტების არჩევნები.

## კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო კრების დელეგაცია სსრ კავშირში

ტაშკენტი, 2 ოქტომბერი. (საქდესი). დღეს დილით აქედან სოხუმში გაფრინდა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო კრების დელეგაცია.

დელეგაციის ხელმძღვანელმა უმაღლესი სახალხო კრების თავმჯდომარემ ლი ენმა გამგზავრების წინ გააკეთა შემდეგი განცხადება:

— განსაკუთრებული სტუმართმოყვარეობის მეოხებით ჩვენ უზბეკეთში ხანმოკლე ყოფნის დროს შესაძლებლობა მოგვეცა გავცნობოდით იმ წარმატებებს, რომლებსაც რესპუბლიკის მშრომელებმა მიაღწიეს სოფლის მეურნეობის, მრეწველობისა და კულტურის განვითარების დარგში.

დიდი ინტერესით დავათვალიერეთ თანამედროვე ტექნიკით მოწყობილი საფეიქრო კომბინატი, გავეცანით რესპუბლიკის დედაქალაქ ტაშკენტს, რომელსაც ორი ათასი წლის ისტორია აქვს, მისი შემდგომი განვითარების პერსპექტივებს.

დღითიდღე მტკიცდება კორეისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობა. დარწმუნებული ვართ, რომ უმაღლესი სახალხო კრების დელეგაციის ჩამოსვლა საბჭოთა კავშირში ხელს შეუწყობს ჩვენი ხალხების მეგობრობის შემდგომი განმტკიცების საქმეს, და მსურს სულით და გულით გადაგიხადოთ მადლობა იმ ყურადღებისა და გულთბილი შეხვედრისათვის, რაც ჩვენს დელეგაციას გაუწიეთ.

აშხაბადი, 2 ოქტომბერი. (საქდესი). აქ გავლით იყო ტაშკენტიდან სოხუმში მიმავალი კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო კრების დელეგაცია.

აშხაბადის აეროპორტში კორეელ სტუმრებს შეხვდნენ თურქმენეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი ბ. ჩარიევი, თურქმენეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ტ. ბაბაევა.

## ნიუ-იორკს ჩავიდა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი დ. ტ. შეპილოვი

ნიუ-იორკი, 3 ოქტომბერი. (საქდესი). დღეს ნიუ-იორკს თვითმფრინავით ჩამოვიდა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი დ. ტ. შეპილოვი. დ. ტ. შეპილოვი მონაწილეობას მიიღებს როგორც სსრ კავშირის წარმომადგენელი უშიშროების საბჭოს მომავალ სხდომებში სუეცის საკითხზე.

• • •

ნიუ-იორკს ჩამოსვლის შემდეგ დ. ტ. შეპილოვმა შემდეგი განცხადება გაუკეთა პრესისა და რადიოს წარმომადგენლებს:

„ბატონებო, ჩვენ გადმოვცურეთ ევროპა და ოკეანე იმისათვის, რომ აქ, ნიუ-იორკში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს წევრ სხვა სახელმწიფოთა წარმომადგენლებთან ერთად განვიხილოთ სუეცის საკითხი. საბჭოთა მთავრობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს უშიშროების საბჭოს მომავალ სხდომებს, რომლის წინაშეც დასახულია ამოცანა — თავიდან აიცილოს საერთაშორისო ვითარების შემდგომი გამწვავება სუეცის პრობლემის გარშემო და გამონახოს მისი მშვიდობიანი მოწესრიგების გზები.

სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არის ცდები სუეცის საკითხის გადაჭრას მიუდგნენ „ძალის პოზიციიდან". ასეთი ცდები ემყარება იმას, რომ არ ესმით დროის სულისკვეთება, საზოგადოებრივი ცხოვრების ფორმების განახლების ის დიდი და დაუძლეველი პროცესები, რომლებიც ვითარდებიან აღმოსავლეთის დიდ სივრცეებზე. ამ პროცესების უგულებელყოფა იწვევს სწორედ სუეცის საკითხის გადაჭრის იძულებითი ღონისძიებებით ყოველგვარი აჩქარებული და ცხოვრების შეუსაბამო პროექტების კონსტრუირებას. მაგრამ ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ასეთ ღონისძიებათა მომხრე სულ უფრო ცოტა იქნება. როგორც საამოდ მოქმედებს ნილოსის სიგრილე, ისე ცხოვრების გაკვეთილები გვაიძულებენ თანდათანობით, აუჩქარებლად და უფრო რეალისტურად მივუდგეთ სუეცის პრობლემის გადაჭრას.

ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მოლაპარაკების გზით თანასწორუფლებიან და სამართლიან საფუძველზე, ეგვიპტის, როგორც სუვერენული სახელმწიფოს ინტერესების სწორი შეხამებით ყველა სხვა სახელმწიფოს ინტერესებთან, რომლებიც არხით სარგებლობენ, შევძლებთ გამოვძებნოთ სუეცის პრობლემის გადაჭრა, რომელიც გვაღელვებს.

ჩვენ გამსჭვალული ვართ იმედით, რომ უშიშროების საბჭოში ჩვენი საერთო მუშაობის ყველა მონაწილე გამოიჩენს რეალიზმის, ურთიერთგაგებისა და ნდობის საჭირო გრძნობას, რათა მივაღწიოთ სერიოზულ პროგრესს სუეცის პრობლემის გადაჭრაში. საბჭოთა კავშირი მზად არის ყოველივე გააკეთოს, რაც მასზეა დამოკიდებული, რათა ხელი შეუწყოს სუეცის პრობლემის გადაჭრას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კეთილშობილური მიზნებისა და მშვიდობისმოყვარული პრინციპების სულისკვეთებით.

მე მსურს ვისარგებლო ამ შესაძლებლობით, რათა გულითადი სალამი და კეთილი სურვილები გადავცე ნიუ-იორკის მცხოვრებთ და მათი სახით ამერიკის შეერთებული შტატების მთელ ხალხს".

## პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალური საბჭოს VIII სესია

სოფია, 2 ოქტომბერი. (საქდესი). პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალური საბჭოს VIII სესიის დღევანდელ დილის სხდომაზე დამთავრდა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალური მდივნის ლუი საიანის და პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის ვიცე-თავმჯდომარის აბდულა დიალოს მოხსენებათა განხილვა. მოხსენებათა გამო კამათში მონაწილეობა მიიღო 52 კაცმა.

სესიამ მიიღო ტექსტი მისალმებისა დასავლეთ გერმანიის პროფკავშირთა გაერთიანების IV ყრილობისადმი, რომლითაც პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციაში გაერთიანებული 88 მილიონი მშრომელის სახელით სოლიდარობას უცხადებს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პროფკავშირულ ორგანიზაციებს მათ ბრძოლაში სამუშაო დროის შემცირებისათვის, შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის, დემოკრატიული თავისუფლებებისათვის, დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციის წინააღმდეგ.

საღამოს სხდომაზე რევიზორების ანგარიშის დამტკიცების შემდეგ მოისმინეს იქნა ტრანსპორტის, ნავსადგურებისა და თევზის სარეწის მშრომელთა პროფკავშირების საერთაშორისო გაერთიანების გენერალური მდივნის რაფაელ ავილას მოხსენება: „საერთაშორისო მუშათა სოლიდარობის ფონდი".

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პროფკავშირთა II მსოფლიო კონგრესის გადაწყვეტილებით შექმნილმა მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის ფონდმა, რომელიც განკუთვნილია იმისათვის, რომ მხარი დაუჭიროს პროფკავშირულ ორგანიზაციებს ცხოვრების დონის ამაღლებისათვის, სოციალური პროგრესისა და დემოკრატიულ და პროფკავშირულ უფლებათა დაცვისათვის ბრძოლაში, დიდი როლი შეასრულა.

რ. ავილამ სესიის განსახილველად გამოიტანა პროექტი დებულებისა ფონდის საქმიანობის შესახებ.

ამ საკითხის გამო კამათში გამოვიდა საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ლ. ნ. სოლოვიოვი, რომელმაც აღნიშნა მუშათა საერთაშორისო სოლიდარობის ფონდის უდიდესი მნიშვნელობა მშრომელთა და მათი პროფკავშირების ბრძოლაში მონოპოლიებისა და მეწარმეების ანტიმუშურ ღონისძიებათა წინააღმდეგ.

შემდეგ მოხსენება „პროფკავშირთა IV მსოფლიო კონგრესის მოწვევა" გააკეთა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის მდივანმა ჯუზეპე კაზადეიმ. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ პროფკავშირთა IV მსოფლიო კონგრესი, რომელიც მოწვეულია მომავალი წლის შუა რიცხვებში, უნდა გახდეს მთელი მსოფლიოს მშრომელთა კონგრესი.

## პანამის ახალი პრეზიდენტი

ნიუ-იორკი, 2 ოქტომბერი. (საქდესი). როგორც პრესა იუწყება, გუშინ თანამდებობის ასრულებას შეუდგა პანამის ახალი პრეზიდენტი ერნესტო დე ლა გუარდია, რომელმაც გაიმარჯვა 13 მაისის არჩევნებში. დე ლა გუარდია კანდიდატად დაასახელა მთავრობის პარტიამ „ეროვნულ-პატრიოტულმა კოალიციამ".

## საფრანგეთის ეროვნულ კრებაში

პარიზი, 2 ოქტომბერი. (საქდესი). ეროვნული კრების თავმჯდომარის არჩევნებში კენჭისყრის პირველ ტურს საბოლოო შედეგები არ მოჰყოლია, რადგან დასახელებულ 5 კანდიდატში ვერცერთმა ვერ მიიღო ხმების აბსოლუტური უმრავლესობა. ანდრე ლე ტროკერმა (სოციალისტი) მიიღო 150 ხმა, მარსელ კაშენმა (კომუნისტი) — 136 ხმა, პიერ შნეიტერმა (სახალხო-რესპუბლიკური მოძრაობა) — 102 ხმა, ბრიუინელმა („დამოუკიდებელი რესპუბლიკელი") — 85 ხმა და პუჟადისტების კანდიდატმა — 41 ხმა.

მეორე ტურში პალატის თავმჯდომარედ აირჩიეს ლე ტროკერი, რომელმაც 301 ხმა მოაგროვა.

## გაიხსნა საფრანგეთის პარლამენტის სესია

### მარსელ კაშენის სიტყვა

პარიზი, 2 სექტემბერი. (საქდესი). დღეს უხუცესი დეპუტატის, საფრანგეთის კომუნისტური პარტიის თვალსაჩინო მოღვაწის მარსელ კაშენის თავმჯდომარეობით მუშაობა დაიწყო საზაფხულო არდადეგების შემდეგ საფრანგეთის ეროვნულმა კრებამ.

სესიის გახსნისას მარსელ კაშენმა წარმოთქვა მოკლე სიტყვა. უსურვა რა ფრანგ ხალხს მშვიდობა და აყვავება, კაშენმა დიდი მწუხარება გამოთქვა იმის გამო, რომ ამჟამად „მსოფლიო ცხოვრობს შეშფოთებისა და ურწმუნობის ვითარებაში". შეეხო რა საფრანგეთის მთავრობის საქმიანობას, კაშენმა აღნიშნა, რომ ხელისუფლების სათავეში ჩადგომის მომენტში მთავრობის მეთაურმა გი მოლემ პირობა დადო, რომ გააუმჯობესებდა მშრომელთა მდგომარეობას, აგრეთვე მიაღწევდა მშვიდობიან მოწესრიგებას ალჟირში. მაგრამ, თქვა კაშენმა, ახლა ფრანგი მშრომელების ხელფასი გაყინულია, ხოლო ალჟირში დღემდე გრძელდება საომარი მოქმედება.

ორატორი მიესალმა კოლონიური ხალხების ბრძოლას თავიანთი დამოუკიდებლობისათვის და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამჟამად აღმოსავლეთის ქვეყნების მოსახლე მილიარდამდე ადამიანმა მიაღწია განთავისუფლებას საუკუნოებრივი მონობისაგან. ჩვენ ახალი მსოფლიოს დაბადების მოწმენი ვართ, თქვა კაშენმა. იწყება ახალი შესანიშნავი ეპოქა ისტორიაში, და არ არის ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს უკან დააბრუნოს ისტორიის ჩარხი.

დაგმო რა „ძალის პოლიტიკა" ეგვიპტის მიმართ, რასაც დასავლეთის სახელმწიფოები ახორციელებენ, პარლამენტის უხუცესმა დეპუტატმა დამსწრეთ მოაგონა, რომ საფრანგეთის კონსტიტუცია მოითხოვს, რომ საფრანგეთმა „არასოდეს არ იხმაროს ძალა რომელიმე ხალხის თავისუფლების წინააღმდეგ". კაშენი მიესალმა ინგლისელ ლეიბორისტთა პოზიციას, რომლებიც მოითხოვენ სუეცის საკითხის მშვიდობიან მოწესრიგებას, და რწმენა გამოთქვა, რომ შესაძლებელია ამ პრობლემის მშვიდობიანი საშუალებებით გადაჭრა. მან მოითხოვა აგრეთვე დაუყოვნებლივ შეწყდეს ომი ალჟირში. მარსელ კაშენის სიტყვის შემდეგ ეროვნული კრება შეუდგა თავმჯდომარის არჩევას.

ეროვნული კრების სესიის გახსნასთან ერთად მუშაობა განაახლეს რესპუბლიკის საბჭომ (პარლამენტის ზედა პალატა) და საფრანგეთის კავშირის კრებამ (საკონსულტაციო ორგანო).

პარიზი, 2 ოქტომბერი. (საქდესი). რესპუბლიკის საბჭოს თავმჯდომარედ ხელახლა არჩეულია გასტონ მონერვილი.

## საბჭოთა ფილმ „ოტელოს" პირველი პრემია მიეკუთვნა

დამასკო, 3 ოქტომბერი. (საქდესი). როგორც უკვე ვიუწყებოდით, 9-დან 30 სექტემბრამდე დამასკოს მე-3 საერთაშორისო ბაზრობის დირექციამ მოაწყო საერთაშორისო კინოფესტივალი, რომელშიც მონაწილეობდნენ საბჭოთა კავშირი, ეგვიპტე, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, ინგლისი, იუგოსლავია, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, რუმინეთი, ბულგარეთი, ჩეხოსლოვაკია, უნგრეთი, პოლონეთი და იტალია.

ფესტივალის პირობების თანახმად თვითეულმა ქვეყანამ წარადგინა 1955 წლის გამოშვების ორი მხატვრული და ორი მოკლემეტრაჟიანი ფილმი.

ჟიურის გადაწყვეტილებით საბჭოთა ფილმ „ოტელოს" მიეკუთვნა პირველი პრემია — „ოქროს მედალი".

ვერცხლის მედლებით აღინიშნა ბულგარეთის, ეგვიპტის, ინდოეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ინგლისის მხატვრული ფილმები.

საბჭოთა ფილმი „ორი ოკეანის საიდუმლოება" ჟიურიმ აღნიშნა წარმოების მაღალი ტექნიკისა და მეცნიერულ-ფანტასტიკური სიუჟეტის დამუშავებისათვის.

## ედი როზნერის საესტრადო ორკესტრის გასტროლები თბილისში


ეროვნული ბიბლიოთეკა

სურათზე: საესტრადო ორკესტრი ედი როზნერის ხელმძღვანელობით. ორკესტრის სოლისტი ანასტასია კოჩკარევა ასრულებს ესპანურ სიმღერას „როცა მივდივარ ხარების ქიდილზე".

ფოტო შ. გოქაძისა.

წარმატებით მიმდინარეობს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის საზაფხულო თეატრში მოსკოვის საესტრადო ორკესტრის გასტროლები ბელორუსიის სსრ დამსახურებული არტისტის ედი როზნერის მხატვრული ხელმძღვანელობით და მონაწილეობით.

საესტრადო ორკესტრის შემადგენლობაში როგორც ინსტრუმენტალისტ-შემსრულებლებს, ისე მომღერლებს შორის ბევრი ნიჭიერი სოლისტია. საუცხოო ვირტუოზის, საესტრადო ორკესტრის ხელმძღვანელის და სოლისტის ედი როზნერის შემდეგ არ შეიძლება პირველ რიგში არ მოვიხსენიოთ ახალგაზრდა მომღერალი ქალი ანასტასია კოჩკარევა, რომლის რეპერტუარში ფართო ადგილი უკავია ინდურ, ზანგურ, კუბურ, ესპანურ პოპულარულ სიმღერებს. მართალია, მომღერალ ქალს მაინცდამაინც დიდი ვოკალური მონაცემები არა აქვს, მაგრამ მისი შესრულება გამოირჩევა ბუნებრივი უშუალობით, უაღრესი ემოციურობით, მკაფიო დიქციით და, რაც მთავარია, საზღვარგარეთული სიმღერების ეროვნული კოლორიტის გადმოცემით. ამ მხრივ მსმენელებზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება დატოვა ა. კოჩკარევას მიერ შესრულებულმა შესანიშნავმა ტემპერამენტულმა ესპანურმა ლირიკულმა სიმღერამ „როცა მივდივარ ხარების ქიდილზე" და რიტმულმა ზანგურმა მელოდიურმა სიმღერამ „სამბა".

ამასვე ვერ ვიტყვით საესტრადო ორკესტრის მეორე წამყვან სოლისტზე ივანე ტარაკანოვზე, რომელმაც საერთოდ ფერმკრთალად შეასრულა ცნობილი მექსიკური სიმღერა „ნუ მაწყენინებ". შედარებით კარგი შთაბეჭდილება დატოვა ივანე ტარაკანოვმა პოპულარული ფრანგული სიმღერის „ღამით მარტო ვარ" ემოციური შესრულებით. კონცერტზე დიდი წარმატება ხვდათ ნიჭიერ მომღერლებს ნინა დორდას და ნატალია როზინკინას, რომლებმაც შეასრულეს საბჭოთა და საზღვარგარეთული პოპულარული სიმღერები.

რაც შეეხება თვით ორკესტრის პროგრამას, იგი ფართო და მრავალფეროვანია. ორკესტრმა ბელორუსიის სსრ დამსახურებული არტისტის ედი როზნერის ხელმძღვანელობით წარმატებით შეასრულა მუსიკალური ფანტაზია ჩარლი ჩაპლინის კინოფილმებიდან, აგრეთვე მთელი რიგი პოპულარული საესტრადო ინსტრუმენტული ნაწარმოებები.

საესტრადო ორკესტრის ნიჭიერ კონფერანსიეს ანატოლ სტეპინს ცოცხლად, საინტერესოდ მიჰყავს კონცერტი, რაშიც გარკვეული წვლილი მიუძღვით ცნობილ იუმორისტ მწერლებს მ. მასსა და მ. ჩერვინსკის, რომლებმაც შექმნეს მახვილი ლიტერატურული ტექსტი.

დ. გველესიანი.

## თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრმა დაამთავრა გასტროლები ქუთაისში

ქუთაისი, 3 ოქტომბერი. (საქდესი). თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრმა დაამთავრა გასტროლები ქუთაისში. თეატრის დირექტორმა საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა დ. ს. მჭედლიძემ საქდესის კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა:

— ჩვენი თეატრის მსახიობები ქუთაისში გამოდიოდნენ მთელი თვის განმავლობაში. ამ ხნის განმავლობაში ვაჩვენეთ ჩვენი 14 საუკეთესო დადგმა. მათ შორის — „აბესალომ და ეთერი", „დაისი", „ქეთო და კოტე", „ევგენი ონეგინი", „გორდა", „დონ კიხოტი", „გედის ტბა" და სხვები. სპექტაკლებს დაესწრო 40 ათასამდე მაყურებელი.

ქუთაისელებს გარდა, ოპერისა და ბალეტის თეატრის სპექტაკლებს კოლექტიურად დაესწრნენ ტყიბულელი მეშახტეები, ზესტაფონელი მეტალურგები, წყალტუბოს, წულუკიძისა და მთელი რიგი სხვა რაიონების სოფლის მეურნეობის მშრომელები. თეატრის წამყვანმა მსახიობებმა კონცერტი გამართეს ქუთაისელი ავტომობილმშენებლებისათვის.

თეატრის სპექტაკლებს გულთბილად შეხვდნენ მშრომელნი. ხალხის მხურვალე სიყვარული თეატრალური ხელოვნებისადმი ასულდგმულებს და აღაფრთოვანებს საბჭოთა მსახიობებს. დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით ვაპირებთ დავიწყოთ სეზონი საქართველოს დედაქალაქში. ყოველ ღონისძიებას ვიხმართ, რათა მაყურებელი გავახაროთ ახალი კარგი, საინტერესო, შინაარსიანი სპექტაკლებით.

## ს ე მ ი ნ ა რ ი

4 ოქტომბერს საღამოს 8 საათზე საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პოლიტიკური განათლების კეცხოველის სახელობის სახლში (ლენინის ქუჩა № 35) შედგება სემინარი წრეების პროპაგანდისტებისა და სემინარების ხელმძღვანელთათვის მრეწველობის ეკონომიკის საკითხებზე.

ხელმძღვანელები: პროფესორი დ. მშვენიერაძე და ლ. ტუზოვი.

რედაქტორის მოადგილე
რ. ქურციკიძე.


**საქართველოს რადიოს გადაცემათა პროგრამა 5 ოქტომბრისათვის**

**პირველი პროგრამით**

რადიოსადგურებით 1571 და 59,52 მეტრ ტალღებზე აგრეთვე თბილისის საქალაქო ქსელით

06.30 — საბჭოთა კომპოზიტორების ნაწარმოებები, 11.00 — მასალები გაზეთ „ნორჩი ლენინელიდან", 11.15 — საბჭოთა სიმღერები, 12.15 — მენდოლსონის ფანტაზია, 12.45 — ქართველ კომპოზიტორთა რომანსები, 17.20 — ქართული ხალხური სიმღერები, 18.15 — მაჭავარიანის ორატორია „ჩემი სამშობლოს დღე", 19.20 — რადიოსადგურებით გადმოცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის, თბილისის საქალაქო ქსელით — ნაწყვეტები რიმსკი-კორსაკოვის ოპერიდან „სადკო", 20.30 — „სოციალისტური შეჯიბრების დღიური", 20.45 — დასავლეთ ევროპის კომპოზიტორთა ნაწარმოებები ჩელოსათვის.

რადიოსადგურით 1571 მეტრ ტალღაზე და თბილისის საქალაქო ქსელით 21.00 — რადიოჟურნალი ახალგაზრდობისათვის, 21.40 — მუსიკა ინდური კინოფილმიდან „ბატონი 420", 22.00 — ლიტერატურული გადმოცემა — ო. ჰენრის მოთხრობა „სიყვარული და ფული", 22.20 — კონცერტი ქართველ შემსრულებელთა მონაწილეობით.

**მეორე პროგრამით**

რადიოსადგურით 59,52 მეტრ ტალღაზე 21.45 — ფრანგ კომპოზიტორთა ნაწარმოებები.

რადიოსადგურით 66,08 მეტრ ტალღაზე

**სომხურ ენაზე**

11.00 — გაზეთ „სოვეტაკან ჰაიასტანის" მიმოხილვა, 18.15 — უკანასკნელი ცნობები, 18.30 — კონცერტი.

**აზერბაიჯანულ ენაზე**

20.30 — საუბარი ახალ სასწავლო წელს პარტიული განათლების ქსელში სკკპ ისტორიის შესწავლის პროგრამის შესახებ.



სახელმწიფო დაზღვევის ორგანოები დებენ ხელშეკრულებებს ხანძრის, წყალდიდობის, ქარიშხლისა და სხვა სტიქიური უბედურებისაგან საოჯახო ქონების დაღუპვის ან დაზიანების შემთხვევისათვის ნებაყოფლობით დაზღვევაზე.

ნებაყოფლობითი წესით დასაზღვევად მიიღება საოჯახო მეურნეობისა და პირადი მოხმარების საგნები, მოწყობილობა და ნივთები, როგორიც მაგალითად, ავეჯი, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ჭურჭელი, მუსიკალური ინსტრუმენტები, წიგნები, სურათები, ფოტოაპარატები, საკერავი მანქანები, რადიომიმღებები, ველოსიპედები, მოტოციკლეტები, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები და სხვ.

საოჯახო ქონების დაზღვევისათვის სადაზღვევო თანხის ყოველ ათას მანეთზე წელიწადში გადასახდელია: ქალაქად და მუშათა დაბებში 1-დან 4 მანეთამდე, სასოფლო რაიონულ ცენტრებში, სააგარაკო დაბებში და დანარჩენ სოფელ ადგილებში 2-დან 4 მანეთამდე.

დაზღვევის ხელშეკრულების დასადებად მიმართეთ სახელმწიფო დაზღვევის ინსპექტორებს ან აგენტებს.

სახელმწიფო დაზღვევის სამმართველო საქართველოს სს რესპუბლიკაში.



**დ ღ ე ს**

**თბილისის თეატრებში**

რუსთაველის სახელობის — ოტელო, მარჯანიშვილის სახელობის მეფე ერეკლე, გრიბოედოვის სახელობის — პროკურორის ქალიშვილი, მოზარდ მაყურებელთა რუსული — ეშმაკის მოწაფე (6 ს.) ფილარმონია — საესტრადო ორკესტრის კონცერტი ე. როზნერის ხელმძღვანელობით (9 ს.), ს. ბალაშოვის მხატვრული კითხვა (რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზი, 9 ს.).



**თბილისის ფოსტამტი და კავშირგაბმულობის ქალაქის განყოფილებები**

იღებენ დაწესებულებებისაგან, საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან ბანდეროლებს სამეწველო ნავთებით წონით ერთ კილოგრამამდე 200 მანეთის შეფასებით, ჩაკეთებულს, დალუქულს გამგზავნის მიერ.

ასეთ ბანდეროლებს შეიძლება დაეკრას საწერ მანქანაზე დაბეჭდილი მისამართი.



**საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი**

აცხადებს კონკურსს ფიზიკური გეოგრაფიის განყოფილების ერთი უფროსი მეცნიერი თანამშრომლის, ერთი უმცროსი მეცნიერი თანამშრომლის და ეკონომიური გეოგრაფიის ერთი უმცროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობათა დასაკავებლად.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა დირექტორის სახელზე უნდა შემოიტანონ განცხადება და შემდეგი საბუთები: კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, ავტობიოგრაფია, უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომის ასლი, სამეცნიერო ხარისხისა და წოდების მინიჭების საბუთების ასლები, დახასიათება მუშაობის უკანასკნელი ადგილიდან, შრომების სია და ძირითადი შრომების რეცენზიები. საბუთები წარმოდგენილ უნდა იქნას ორ ცალად.

კონკურსის ვადა 1 თვე დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.

ინსტიტუტის მისამართი: ქ. თბილისი, ფურცელაძის ქ., 7. ტელეფონი 3-37-02.



**თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი**

**1956-57 წ.წ.**

**სეზონის გახსნა**

ხუთშაბათს,
11 ოქტომბერს

ზ. ფალიაშვილი
**აბესალომ და ეთერი**

პარასკევს,
12 ოქტომბერს

სსრ კავშირის სახალხო არტისტის ვ. ჭაბუკიანის მონაწილეობით

დ. თორაძე
**გორდა**

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის ბილეთების ფასი მნიშვნელოვნად შემცირებულია. ბილეთების ფასია დილის სპექტაკლებზე 2-დან 10 მანეთამდე, საღამოს სპექტაკლებზე 3-დან 15 მანეთამდე.

ბილეთები იყიდება თეატრის სალაროებში. მიიღება შეკვეთები კოლექტიურ დასწრებაზე. დილის სპექტაკლების დასაწყისი დღის 12 საათზე. საღამოს სპექტაკლების დასაწყისი საღამოს 8 საათზე.



**თბილისის სახელმწიფო ცირკი**

დ ღ ე ს

დიდი საცირკო წარმოდგენა
3 განყოფილებად
ახალი ატრაქციონი

**ლ ო მ ე ბ ი**

მწვრთნელი **ვლადიმერ ბორისოვი**

დონის ცხენოსანთა ანსამბლი

რსფსრ დამსახურებული არტისტის

**მ. ი. ტუგანოვის**

მონაწილეობით და ხელმძღვანელობით და საბჭოთა ცირკის საუკეთესო ოსტატები

დასაწყისი საღამოს 8 ს. 30 წ.

კვირას, 7 ოქტომბერს

დღის ორი საბავშვო წარმოდგენა

დასაწყისი 1-12 ს., 11-3 ს.

ბილეთები წინასწარ იყიდება სახცირკის სალაროებში და ცენტრალურ თეატრალურ სალაროში, პლეხანოვის პროსპ. № 118.



**თბილისის ზ ო ო პ ა რ კ შ ი მიღებულია გიგანტური მახრჩობელა გველები, ნახევარმაიმუნების წარმომადგენელი წყვილი ლორი, ხალებიანი აფთარი, შხამიანი გველები, ვარანები.**

ბეჰემოთების, ლამების, ხალებიანი ირმების, ირემლალების, გნუს, მუნჯაკების ოჯახები (ზოოპარკში მიღებული ნამატი); ზღვის ლომი, კენგურუ, დომბაბიზონი, ინდოეთის სპილო, კულანი, ირბისი, ვეფხვები, ლომები, გვირგვინოსანი წერო, ნიანგები, ზებრა, ანტილოპები, კონდორები, ციევტა, ვარხვები, გედები, მაიმუნები.

ზოოპარკი ღიაა დილის 8 საათიდან საღამოს 7 საათამდე (1 ნოემბრიდან 6 საათამდე).

მისამართი: ქ. თბილისი. გმირთა მოედანი, ტელეფონი № 2-14-23.


მეუღლე ქეთევან, შვილები ვერა, ნინო და დავით ესაკია ოჯახით იუწყებიან

**ტარიელ კონსტანტინეს-ძე ესაკიას**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 7-X სოფ. ნაესაკოვოში (აბაშის რ.).

დედა ელენე, მეუღლე თინა, შვილები ჯანიკო, რეზო, ძმა ივანე, რძალი ზინა ოჯახით იუწყებიან

**სერგო სევერიანეს-ძე ნადარეიშვილის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 7-X ქ. სამტრედიაში, გამოსვენება ბინიდან, წერეთლის ქ. № 40.

თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის რენტგენოლოგიისა და რადიოლოგიის კათედრის და რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს რენტგენოლოგიური განყოფილების თანამშრომლები იუწყებიან

**ანა გიორგის ასულ გაბუნიას**

გარდაცვალებას. გამოსვენება 4-X, 4 ს. ბელინსკის ქ. № 6.

მეუღლე ნინო, შვილი ზოია, ძმები აბრამ, შალვა, დიმიტრი, დები ნინო, ელენე, თინა, სიძე ვ. ინაშვილი ოჯახებით იუწყებიან

**ზურაბ ნიკოლოზის-ძე ფავლენიშვილის**

გარდაცვალებას, დაკრძალვა 6-X, 5 ს. სოფ. ტიბაანში (სიღნაღის რ.).

მშობლები ელენე, სპანდიერ, ძმები ნიკოლოზ, მიხეილ, რძლები გულდამი, ელენე ოჯახებით იუწყებიან

**ვანო სპანდიერის-ძე ენუქიძის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 6-X სოფ. წყალდისში (ამბროლაურის რ.).

მეუღლე თამარ კვიტაშვილი, შვილი მერაბ ნათესავებით იუწყებიან

**მიხეილ მიხეილის-ძე ხოჯაშვილის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 4, 5-X, 8 ს. გამოსვენება 6-X, 4 ს. წერეთლის ქ. № 17.

შვილები გიორგი, ვაჟა, ოლღა, რძლები ვენერა, რუსუდან, სიძე გ. გაჩეჩილაძე ოჯახებით იუწყებიან

**ასლან გიორგის-ძე ნოდიას**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 7-X ქ. ქუთაისში, გამოსვენება ბინიდან, ძერჟინსკის მე-8 შესახვევი № 11.

მეუღლე ნინო, შვილები ალიოშა, მიხეილ, ჯემალ, ძმები სამსონ, კონსტანტინე, დები ეკატერინე, ანეტა ოჯახებით იუწყებიან

**ხანდრო ივანეს-ძე გობეჯიშვილის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 5, 6-X, 8 ს. გამოსვენება 7-X, 3 ს. წითელი ქ. № 3 (ლენინის რაიონი).

უე 07132 პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.